ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი — სახელმძღვანელო „კოოპერაცია“

მასიურ პროფესიის შკოლებისთვის, მოკლევადიან კურსებისთვის და დაუსწრებელ სწავლებისთვის

სერია I გამოშვება I

საგანი: კოოპერაცია

К 44.895
3

კოოპერაცია კაპიტალიზმის ხანაში

თარგმანი რუსულიდან

ტფილისის კოოპერატიული ტექნიკუმის დაუსწრებელი სექტორი

ტ ფ ი ლ ი ს ი — 1932

ВУЧК

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცეკავშირის სტამბა, პუშკინის 3.
მთავარლიტი № 405.
დაკვეთა № 199 ტირაჟი—1500

სპეც. [illegible]
შემ[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემა: კოოპერაცია კაპიტალიზმის დროს

თემის დახასიათება.

კოოპერატიული მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობს დაახლოვებით 100 წელიწადი და ამ პერიოდის განმავლობაში კოოპერაციამ მიაღწია ზოგიერთ წარმატებებს. კოოპერატიული მოძრაობის წარმატებებმა კოოპერაციის განსაკუთრებული როლის შესახებ შეიქმნეს სპეციალური კოოპერატიული თეორიები კაპიტალისტური საზოგადოების მშვიდობიანი გზით გარდამქნის საქმეში.

კოოპერაციის ისტორიის შესწავლა კი გვიჩვენებს, რომ კოოპერაცია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო სისტემას და თავის განვითარებაში მთლიანად დამოკიდებულია იმ სოციალურ-ეკონომიური პირობებისაგან, რომელშიაც ის ვითარდება. კაპიტალისტურ პირობებში, კოოპერაცია წარმოადგენს რა კაპიტალისტური საწარმოოს განსაკრთრებულ ფორმას, მთლიანად დამოკიდებულია კაპიტალისტური ეკონომიკის კანონებასაგან. კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ეს კანონები კაპიტალიზმის განვითარების განსაზღრულ საფეხურზე საზღვარს უდებენ კოოპერაციის განვითარებას და უმორჩილებენ მას გაბატონებული კლასის ინტერესებს.

К 44.895

3 კაპიტალის სამსახურისადმი კოოპერაციის შეგუება ხორციელდება კოოპერაციის „ბელადების“ გამყიდველი პოლიტიკით, რომლებიც თავისი მილიქვნელური ქადაგებით კოოპერაციის ზეკლასიურობის, „აპოლიტიკურობისა“ და „ნეიტრალობის“ შესახებ მთლიანად უქვემდებარებენ მას ბურჟუაზიული ბატონობის განმტკიცებას

ყველა ეს განსაკუთრებით მჟღავნდება თანამედროვე მომენტში კაპიტალიზმის უკანასკნელ ეტაპზე, მსოფლიო კრიზისის პირობებში.

ბურჟუაზიული კოოპერატიული თეორიების კლასიური საფუძვლების გამომჟღავნება „კოოპერაციის განსაკუთრებული როლის შესახებ კაპიტალთან ბრძოლაში“ ⁄ მისი სწორი გარკვევა აუცილე-

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია ამ თეორიებთან ბრძოლისათვის, რომელიც განახლებულის სახით შედიან საბჭოთა კოოპერაციაში სოციალისტური მშენებლობის სავნებლად.

დამუშავების გასაადვილებლათ ეს თემა დაყოფილია შემდეგ განაკვეთებად:

1. კოოპერაციის ჩასახვის ისტორიული მიზეზები
2. კოოპერაცია რუსეთში რევოლიუციის წინ.
3. კოოპერაცია იმპერიალიზის პირობებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განაკვეთი I

კოოპერაციის ჩასახვის ისტორიული მიზეზები

განაკვეთის მიზანი:

1) გაირკვევს კოოპერაციის ჩასახვის განუყოფელი კავშირი კაპიტალისტურ ურთიერთობის აღორძინებასთან;

2) გაირკვევს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ ისტორიულად მიიღო თავისი განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ როგორც „კოლექტიურ — კაპიტალისტურმა საწარმომ". (ლენინი)

3) გაირკვეს, რომ სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს სოფლის მეურნეობის (კაპიტალიზმის წინა ფორმების) კაპიტალისტური განვითარების გზაზე დაყენებისათვის აუცილებელ ფორმას.

4) გამოაშკარავდეს წვრილ-ბურჟუაზიული მოძღვრების კლასიური საფუძვლები კოოპერაციის შესახებ.

გაირკვეს ბოლშევიკური პარტიისა და ვ. ი. ლენინის შეხედულება კაპიტალიზმის პირობებში კოოპერაციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

დამუშავების გეგმა	სამუშაო მასალა
1) კაპიტალისტური ურთიერთობა — კოოპერატიული მოძრაობის განვითარების ძირითადი საფუძველია	. დანაართი I
2) ინგლისი—სამომხმარებლო კოოპერაციის სამშობლოა	„ II
3) გერმანია—სასოფლო-სამეურნეო კოოპ. სამშობლოა	„ III
4) უტოპიური მოძღვრება კოოპერაციის შესახებ	„ IV
5) წვრილბურჟუაზიული მოძღვრება კოოპერაციის შესახებ	„ V
6) ვ.ი.ლენინი სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლის შესახებ კაპიტალიზმის დროს	„ VI

მეთოდიური შენიშვნები:

იმისათვის, რომ უფრო კარგათ გაირკვეს კოოპერატიული მოძრაობის ისტორიული ხასიათი და ამ საფუძველზე გამოაშკარავდეს კოოპერაციის ნამდვილი როლი და მნიშვნელობა კლასიურ ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაში, აუცილებლათ უნდა შევისწავლოთ ის იმ სოციალ-ეკონომიური პირობიდან გამომდინარე, რომელშიაც ვითარდება კოოპერატიული მოძრაობა.

მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება ავხსნათ წვრილ-ბურჟუაზიული კოოპერატიული თეორიების კლასიური საფუძვლები და გამოვამჟღავნოთ სოციალ რეფორმისტებისა და სოციალ-ფაშისტების პოლიტიკა, რომლებიც კოოპერაციით სარგებლობენ ბურჟაზიული ბატონობის განსამტკიცებლათ.

ამ თემის დამუშავების დროს დამატებით დაამუშავეთ მეშჩერიაკოვის რედაქციით გამოსული კრებული „ლენინი კოოპერაციის შესახებ.“

სამუშაო მასალა I განაკვეთისათვის

კოოპერაციის ჩასახვის ისტორიული მიზეზები

დანართი I

კაპიტალისტური ურთიერთობა — კოოპერატიული მოძრაობის განვითარების ძირითადი საფუძველია.

თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება განვითარდა წვრილი კერძო მეურნეობის დაშლისა და მისი მსხვილი კაპიტალური წარმოებით შეცვლის ნიადაგზე. მანქანების გამოყენებას აუცილებლათ მივყავართ ქალაქის წვრილი ხელოსნისა და სოფლის წვრილი გლეხური მეურნეობის განადგურებამდე. განადგურებული ხელოსნები და გლეხები, რომელთაც დაჰკარგეს დამოუკიდებელი მეურნეობა, იძულებულნი იყვენ მისულიყვენ ქარხანაში კაპიტალისტთან და მიეყიდნათ მისთვის თავისი სამუშაო ძალა.

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 ს. დასაწყისს („სამრეწველო გადატრიალების ეპოქა“ ინგლისში) ეკუთნის მანქანებისა და მსხვილი საფაბრიკო წარმოების გავრცელება. ფაბრიკის კონკურეციამ გაანადგურა წვრილი წარმოება და დამოუკიდებელი ხელოსნები პროლეტარებათ აქცია. ეს იყო მშრომელთა გაუგონარი ექსპლოატაციის ხანა. მუშათა ექპლოატაციას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ამ პერიოდის მუშებს, რომლებიც წინედ დამოუკიდებელი მეურნენი იყვენ, არ ქონდათ კლასიური თვითშეგნება, ე. ი. არ ქონდათ შეგნებული თავისი კლასიური ორგანიზაციების (პარტია, პროფესიონალური კავშირების) შექმნის აუცილებლობა კაპიტალთან ბრძოლისათვის. ამის შედეგად მუშებს შორის იყო ფართე კონკურენცია. კაპიტალისტებმა ეს მდგომარეობა გამოიყენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპლოატაციის გასაძლიერელად და ამას აკეთებენ თითქოს „კანონიერ“ საფუძველზე, ემყარებიან რა წარმოების მესაკუთრეთა მუშებთან „თავისუფალ“ შეთანხმებას.

კაპიტალისტები ამტკიცებენ, რომ მუშა „თავისუფალია“, მას შეუძლია აკეთოს ის რაც სურს: სურს-წავა ფაბრიკაში სამუშაოდ, სურს-წავა სასეირნოდ. ასე სურს ბურჟუაზიას წარუდგინოს მუშათა მდგომარეობა კაპიტალიზმის პერიოდში. ასე თუ არა ეს სინამდვილეში? შევეცადოთ გარკვევას.

კაპიტალიზმის დროს მუშა სამუშავო ძალის „თავისუფალი“ გამომყიდველის მდგომარეობაშია ჩაყენებული. მაგრამ რა შეუძლია გააკეთოს „თავისუფალ“ მუშას კაპიტალიზმის პირობებში? ამის შესახებ სრულიად გარკვევით სწერდა ფრ. ენგელსი თავის შესანიშნავ წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ის სწერს: „პროლეტარს დამხმარე არვინ ყავს. თავის თავზე მინდობილს, მას არ შეუძლია იცხოვროს ერთი დღეც კი. ბურჟაზიამ ჩაიგდო ხელში მონოპოლია ცხოვრების ყველა საშუალებებზე სიტყვის ფართე მნიშვნელობით. ყველაფერი, რაც პროლეტარს უნდა, შეუძლია იშოვოს მხოლოდ ბურჟუაზიიდან, რომლის მონოპოლია მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ამრიგად, პროლეტარი ბურჟუაზიის იურიდიული და ფაქტიური მინაა, ისაა უფლებამოსილი პროლეტარის სიკვდილ სიცოცხლეზე. ბურჟუაზია აძლევს მას ცხოვრების საშვალებას, მაგრამ შრომისათვის ზოგიერთი „ეკვივალენტის“ გაღებით. ეს უქმნის აგრეთვე მას იულიუზიას, თითქოს ის მოქმედობს თავისი კეთილი სურვილით, თავისულად, ყოველ გვარი იძულების გარეშე და როგორც სრულწლოვანი კაცი, სდებს მასთან ხელშეკრულებას. კარგია ასეთი თავისუფლება, თუ პროლეტარს არა აქვს სხვა ასარჩევი, თუ არ მოაწერს ხელს ბურჟუაზიის მიერ შეძლეულ პირობებს, ან სიკვდილი სიმშილისა და სიცივისაგან! ტიტვლად ცხოვება ტყეში ცხოველებთან! კარგია „ეკვიელენტი“, რომლის სიდიდე ბურჟუაზიის კეთილი სურვილისგანაა დამოკიდებული! და თუ პროლეტარი ისე სულელია, რომ ის სიმშილს არჩევს ბურჟუაზიის „სამართლიან“ პირობების დათანხმებას, მისი „ბუნებრივი უფროსის“ — როგორც ამის თქმა უყვართ მეფაბრიკეებს, მაშინ რა, არაა ძნელი მეორის მოძებნაც: ბევრია პროლეტარი ქვეყანაზე და ყველა ისეთი სულელი არ არის, რომ სიცოცხლეს სიკვდილი არჩიოს!! ამრიგათ მუშის „თავისუფლება“ კაპიტალიზმის დროს არის სიმშილისაგან სიკვდილის თავისუფლება, ანდა იმის თავისუფლება, რომ მივიდეს ქარხანაში მიჰყიდოს, და თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციის შემქნელად ითვლება თავდაპირველათ ადამიანის სულში მიძინებული ინსტიქტები და სამეურნეო მიზან შეწონილება. როგოც ღრმათაც არ უნდა შევიჭრათ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ისტორიაში, ყველგან ჩვენ ვხდებით კოოპერატიულ შენაერთებს და შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის განვითარების აკვანთანაც იყო კოოპერატიული მეურნეობა.“ (პროფ ვიგოძინსკი — „კოოპერაცია გერმანიაში“, გვ. 6.)

ეს შეხედულება კოოპერაციაზე არაა სწორი. არ უნდა გავიგოთ კოოპერაცია მხოლოდ წმინდა ტეხნიკურის გაგებით, როგორც „რამდენიმე ადამიანთა ძალღონის შეერთება“. ამ სახით ის არსებობდა აგრეთვე პირველ ყოფილი ადამიანის დროსაც, მაგრამ აქ სიტყვა „კოოპერაცია“ არაფერს არ არკვევს. „ამ“ გაგებით, კაპიტალური ფაბრიკა, ბატონ-ყმური შრომაც კი, არის კოოპერაცია.

თუ ახლოს გავეცნობით ძველ კოოპერატორთა მოძღვრებას, ჩვენ დავინახავთ, რომ კოოპერაციის ასეთ გაგებაში იმალება არა უბრალო შეცდომა: ეს შეხედულება წარმოადგენს „კოოპერატიული მეცნიერების“ მთლიან სისტემას, რომელი სისტემითაც ბურჟუაზიული იდეოლოგიები ცდილობენ დაასაბუთონ კოპერატიული მოძრაობის დამოუკიდებლობა იმ პოლიტიკური და სამეურნეო პირობებისაგან, რომელშიაც მუშაობს კოოპერაცია.

ამ შეხედულებათა საფუძველზე აღმოცენდა წვრილ-ბურჟუაზიული მოძღვრება კოოპერაციის შესახებ. ამ მოძღვრების თანახმად კოოპერაციას შეუძლია დამოუკიდებლად, მუშათა კლასის სხვა ორგანიზაციებთან კავშირის და რევოლიუციონურ ბრძოლის გარეშე მიაღწიოს მუშათა სრულ განთავისუფლებას კაპიტალის ექსპლოატაციისაგან და კაპიტალისტურ საზოგადოების გარდამქნა კოოპერატიულ საფუძველზე. შეუძლია თუ არა მართლა გადასწყვიტოს კოოპერაციამ ეს ამოცანა? შეუძლია თუ არა მას მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის გარეშე, ე. ი. მშვიდობიანი გზით, შესცვალოს კაპიტალიზმი კოოპერატიული წყობილებით, ანდა, როგორც ამბობენ, „შეეზარდოს სოციალიზმს?“ მივმართოთ ისტორიულ ფაქტებს.

დანაართი II

ინგლისი — სამომხმარებლო კოოპერაციის სამშობლოა

ისტორიულად ინგლისი ითვლება სამომხმარებლო კოოპერაციის სამშობლოდ, რადგანაც იქ სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე ჩაისახა კაპიტალიზმი და გაჩნდა მუშათა კლასი. წინა მასალიდან ჩვენ დავინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთ, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ინგლისის მუშათა კლასი კაპიტალაზმის ჩახახვის პერიოდში. მრეწველობის და ბურჟუაზიის (მექარხნე-მეფაბრიკეთა) სიმდიდრის ზრდასთან ერთად გაიზარდა მუშათა არმია განადგურებულ ხელოსნებისა და უმიწოთ დატოვებულ გლეხობის ხარჯზე; ამასთან დაკავშირებით იზრდება სილარიბე იმ პირთა შორის, რომლებიც იძულებულნი იყვენ მხოლოდ თავისი შრომის გაყიდვით ეცხოვრათ.

მე-19 ს. 30-40 წლეებში ინგლისის მუშები არა ერთხელ ცდილან შეეცვალათ ასებული წყობილება. ამ დროში აღმოცენდა ინგლისის მუშების დიდი მოძრაობა, რომელიც ცნობილია ჩარტიზმის სახელწოდებით. ეს მოძრაობა პირველად ოპოზიციონური იყო და თავის ირგვლივ შემოიკრიბა მუშათა ფართო წრეები. მისი მიზანი იყო უზრუნველ ეყო პროლეტარიატისა და მშრომელთა ინტერესების დაცვა პარლამენტში. როცა ამ მოძრაობამ მიიღო მასიური ხასიათი და ფართო გაფიცვების სახე, ბურჟუაზიამ ის იარაღით ჩააქრო და ხელმძღვანელები და მონაწილენი სასამართლოს გადასცა. ამ მოძრაობის ჩაქრობამ მუშებში დემორალიზაცია მოახდინა. მუშათა მდგომარეობა კვლავ აუტანელი რჩებოდა. მუშები თან-და-თან კარგავდენ რევოლიუციონური ლოზუნგის განხორციელების იმედებს და დიწყეს საშუალებების ძებნა მშვიდობიანობის გზით, სამეურნეო ორგანიზაციების შემქნის საშვალებით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ინგლისის მუშათა მდგომარეობა გაუარესდა 1842 წ. კრიზისთან დაკავრირებით. ამ კრიზისის შემდეგ ძლიერ გაიზარდა უმუშევრობა. მუშათა მოხმარება 1842 წელს $^2/_3$ შემცირდა 1834-36 წ.წ. შედარებით. მუშების ამ მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს წვრილმა ვაჭრებმა — ისინი ნისიად ყიდდენ ცუდი ხარისხის საქონელს და იღებდენ საბზრო ფასზე უფრო მეტს. საქონლის ფალისიფიკაცია მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მადაგახსნილი ვაჭრები არაფერს ზოგავდენ აი. როგორ აგვიწერს ამ დროის ვაჭრობას ფრ. ენგელსი, რომელსაც თავის წანგში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ მოჰყავს ბურჟუაზიული გაზეთების ამონაწერი: „მარილიანი ერბო იყიდება ახალის ნაცვლად, რისთვისაც მარილიან ერბოს ფარავენ ახალის ფენით, ანდა მყიდველს აჩვენებენ ახალს და გასინჯვის შემდეგ აძლევენ მარილიანს, ანდა გამოანელებდენ მარილს და ყიდდენ, როგორც ახალს. შაქარს ურევდენ დაფქვილ ბრინჯს ან სხვა ნივთიერებას. საპნის მხარშველ ქარხნების ნარჩენებს ურევდენ სხვა ნივთიერებებს და ყიდდენ, როგორც საპონს. კაკაოს ხშირად ურევდენ დანაყილ მუქ თიხას, ცხვრის ქონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსნილს. ჩაის ურევდენ ეკლის ფოთლებს ან სხვა ამგვარ სიბინძურეს და სხ.“ ამის გარდა ვაჭრები ფართეთ იყენებდენ არა სწორ ზომასა და წონას. თავის თავად ცხადია, რომ ყველა ეს მოტყვილება და ფალსიფიკაცია მძიმედ აწვებოდა მუშებს. მტაცებლობასა და მოტყვილების ასეთი ფორმების საწინააღმდეგოთ მუშებმა შემქნეს თავისი სამეურნეო დაწესებულებანი — სამომხმარებლო კოოპერატივები.

პირველი მუშათა სამომხმარებლო საზოგადოება, საიდანაც იწყება სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარება, მოეწყო როჩდელში 1844 წელს. ჯონ კერშეუ, ქ. როჩდელში პირველი სამომხმარებლო საზოგადოების ერთ — ერთი დამაარსებელთაგანი, ასე აგვიწერს იმ პირობებს, რომელშიაც აღმოცენდა მუშათა კოპერატიული მოძრაობა:

„როჩდელის პიონერებმა იმ დროს განიზრახეს თავისი საქმე, როცა კრიზისი ყველგან მოედო. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ხელოსანი ფეიქრები იყვნენ. მანქანების გაუმჯობესებამ იმ დონემდე დასცა მათი მდგომარეობა, რომ ძლივსლა იყო შესაძლებელი არსებობა. შეიძლება როჩდელის ასეთი მდგომარეობა არცკი გვეჩვენოს სარწმუნოდ, ამას რომ არ ადასტურებს ავტორიტეტული ჩვენებები. პარლამენტის წევრმა დაბა შერმაიდან კროუფორდმა განაცხადა თემთა პალატაში კამათის დროს 1840 წ. 20 სექტემბერს, რომ როჩდელში ითვლება: 136 კაცი, რომელიც კვირაში 6 პენსით (16 კაპ,) ცხოვრობენ. 200 კაცი — 10 პენსით (26 კაპ.), 508 — 1შილინგით (32 კაპ.) 865 კაცი — 1 შილინგითა და 6 პენსით (დაახლოებით 48 კაპ.) და 10 კაცი — 1შილ. 10 პენსით (58 კაპ.). იმ პირთა $^5/_6$ — ს, რომელზედაც ის ლაპარაკობდა, არ ქონდა საბნებიც. 85 ოჯახს ქონდა ჩალის საგები, საბნები კი არა.“ გასაკვირი არ არის, რომ ამ მდგომარეობამ მუშები მიიყვანა საქონლის ერთად შესყიდვის საზოგადოების დაარსებამდე. როჩდელის პიონერებმა, რომელშიც ნაწილობრივ სოციალისტ—უტოპისტის რობერტ — ოუენის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ, სამომხმარებლო საზოგადოების დაარსებისას შემდეგი სოციალური ამოცანა დასახეს: ,,როგორც კი პრაქტიკულად მოსახერხებელი იქნება, საზოგადოება შეუდგება წარმოების და განაწილების მოწყობას, საზოგადოების აღზრდისა და ხელისუფლების მოწყობას, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, დამოუკიდებელი სამიწათმომქმედო კოლონიის შექმნას, რომელსაც საფუძვლად დაედება თავისი წევრების ინტერესთა ერთიანობა: ის დაეხმარება აგრეთვე სხვა საზოგადოებებს ასეთი კოლონიების დაარსებაში‘‘. პრაქტიკულად კი მათ მოაწყვეს სავაჭრო საქონლის ყიდვა — გაყიდვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი პრინციპები, რომელზედაც აგებული იყო როჩდელის საზოგადოება, შემდეგია:

1) ყიდვა — გაყიდვა ნაღდ ანგარიშზე;
2) საქონლის გაყიდვა საბაზრო ფასებში;
3) სწორი წონა და ზომა;
4) მოგების განაწილება ნავაჭრის და არა პაის მიხედვით;
5) თითო მეპაიეს აქვს ერთი ხმა პაის რაოდენობის მიუხედავად

ეს პრინციპები ერთი შეხედვითაც გვიჩვენებენ, რომ როჩდელის მუშა ფეიქრები თავისი კოოპერატივის შექმნისას მიზნად ისახავდენ შორეულ სოციალურ მიზანს — საზოგადოების გარდაქმნას. უმთავრესათ მათ მხედველობაში ქონდათ სადღეისო პრაქტიკული ამოცანები — კაპიტალის მტაცებლური ექსპლოტაციისაგან თავდაცვა, მაგრამ ფაქტიურათ ეგუებოდენ კაპიტალისტური წყობილების პირობებს. როჩდელის პიონერებმა თავისი საზოგადოების ერთ — ერთ ძირითად პრინციპათ წამოაყენეს კარგი ღირსების საქონლის გაყიდვა სწორი ზომითა და სწორი წონით. ეს პრინციპი მათ დაუპირდაპირეს კერძო ვაჭრობის მტაცებლურ ხეხრებს, რისთვისაც თავის თავს „სამართლიან პიონერთა საზოგადოება“ უწოდეს. როჩდელის პიონერები თავის მიზნად არ ისახავდენ კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ოღვს იცავდენ სავაჭრო კაპიტალის მტაცებლურ. ექსპლოტაციისაგან. დანარჩენებში კი ისინი იძულებულნი იყვნენ შეგუებოდნენ კაპიტალისტური წყობილების პირობებს: ე. ი. გაყიდვა ეწარმოებინათ მხოლოდ ნაღდზე, გაეყიდათ საქონელი საშუალო საბაზრო ფასად. როჩდელებს რომ ეს პრინციპები არ გაეტარებიათ ცხოვრებაში, მათი საზოგადოება ვერ აიტანდა კაპიტალისტური საწარმოოთა კონკურენციას და დაიღუპებოდა ისე, როგორც ყოველი საწარმო, რომელიც ვერ უძლებს მსხვილი კაპიტალისტს კონკურენციას. ამ პრინციპების გამოყენებით კი ინგლისის სამომხმარებლო კოოპერაციამ, და შემდეგში სხვა ქვეყნებისამ, მიიღო განვითარების შესაძლებლობა.

ინგლისის კოოპერაციის განვითარების შედარებით ჩქარი ტემპი და მისი პირველდაწყებითი სამეურნეო წარმატება აიხსნება კერძო წვრილი ვაჭრების მტაცებლობით, რომლებიც მძარცველ პოლიტიკას აწარმოებდენ. „ამ პერიოდის ვაჭრობა — ამბობს ენგელსი თანდათან ხდებოდა გაიძვერობად“ კოოპერატივები კი მომხმარებელს იფარავდენ ამ მძარცველობისაგან. ამასთან ერთად, კაპიტალისტურ პირობებში თავისუფალი კონკურენციის დროს. როცა თითოეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალისტი დამოუკიდებლათ გამოდიოდა და კონკურენციას სწევდა მეორესთან, როცა მსხვილი წამოწყება აუცილებელად ავიწროებდა და ანადგურებდა წვრილს, კოოპერატივი, როგორც მსხვილი წამოწყება, კონკურენტ უნარიანი გამოდგა, ვიდრე განადგურებული წვრილ ვაჭართა წამოწყებანი. სამომხმარებლო საზოგადოებანი, როგორც წესი, პირველ მოთხოვნილების საქონლით ვაჭრობდენ და ყავდა ცოტათ თუ ბევრად მომხმარებელთა განსაზღვრიული წრე, რაც ხელს უწყობდა საქონლის ჩქარა ტრიალს. აი, ყველა ეს პირობები იყვნენ სამომხმარებლო კოოპერატივების წარმატებების ხელისშემწყვენი.

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებას. ამ პერიოდში გაბატონებულ კაპიტალი, საჭიროებდა რა თავისი პროდუქციის გასაღებას, დაინტერესებული იყო მოსახლეობის მსყიდველობნთი უნარის გაზრდაში, რაც უზრუნველყოფდა მისთვის საქონლის სწრაფ რეალიზაციას. კოოპერაცია ანთავისუფლებდა რა მომხმარებელს ზედმეტი გადახარჯვისაგან, განსაზღვრული რაოდენობით სწევდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარს და ხელს უწყობდა სამრეწველო საქონელზე მოთხოვნილების გაზრდას. სამრეწველო კაპიტალის არსებობას სამომხმარებლო კოოპერაციისაგან არავითგრი შიში არ მოელოდა, ამიტომ არამც თუ ებრძოდა მას, არამედ კიდევაც იყენებდა თავის საქონლის გასაღებისათვის. ეს შეიძლებ ყოფილიყო „განსაზღვრულ დრომდე", სანამ კოოპერაციის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდიოდნენ განადგურებული კერძო ვაჭრები.

ეხლა, როცა კაპიტალიზმი იმყოფება თავისი განვითარების უკანასკნელ სტადიაში, როცა სამრეწველო კაპიტალის შემცვლელად გამოვიდა საფინანსო კაპიტალი, კოოპერაციის განვითარების პირობები შეიცვალა. საფინანსო კაპიტალი, რომელიც თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ აერთიანებს მრეწველობას, ცდილობს გააერთიანოს და თავისი კონტროლის ქვეშ დააყენოს ვაჭრობაც. ეხლა უკვე განადგურებული წვრილი ვაჭრების ნაცვლად ფინანსიური კაპიტალი, ქმნის ᲫᲡᲮვილი სავაჭრო გაერთიანებებს (კოცერნებს) ათეული ათასი სავაჭროებით: სამომხმარებლო კოოპერაციის წინააღმდეგ მომხმარებლისათვის ბრძოლაში გამოდის უკვე არა მეწვრილმანე თავისი მძარცველი პოლიტიკით არამედ, მსხვილი სავაჭრო წამოწყება, შეიარაღებული ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებით. ეს ორგანიზაციები აწარმოებენ ბრძოლას მომხმარებლისათვის არა წვრილმანის მოტყუილების გზით, არამედ მომსახურების გაუმჯობესების გზით, საქონლის ბრუნვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩქარებით დიდი მოგების მიღებით, აქვს რა ამ პირობებში ყველა სამეურნეო -- უპირატესობანი კოოპერაციასთან შედარებით.

ამრიგათ, ის მეთოდი, რომლითაც კოოპერაცია წარმატებით ამარცხებდა წვრილ ვაჭარს, მსხვილმა კაპიტალმა მიმართა კოოპერაციის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, კაპიტალისტურ ქვეყნებში შემჩნეულია სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების არამც თუ შენელება, არამედ მთელი რიგ ქვეყნებში — მისი ზრდის გაჩერებაც. ასე უდგებენ საზღვარს კაპიტალისტური ეკონომიკის კანონები სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებას კაპიტალიზმის პირობებში.

დანართი III

გერმანია — სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სამშობლო

საუბრის დასაწყიში ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ კაპიტალიზმის განვითარებით გლეხური მეურნეობა აუცილებლათ ებმება კაპიტალისტური მიმოქცევის პროცესში. სასაქონლო — ფულად ურთიერთობის განვითარებას მივყევართ ცალკე მეურნეობათა კონკურენციამდე, რომლის შედეგადაც გლეხებს შორის სწარმოებს დაფენება, ამას კი შედეგად მოსდევს ზოგიერთ მეურნეობათა დალუპვა, ხოლო დანარჩენთა ზრდა და განმტკიცება. კაპიტალიზმის დროს გლეხობაში იზრდება ორი მოწინაღმდეგე ჯგუფი — ღატაკებისა და კულაკების.

ამ ორს ჯგუფიდან, სხვადა სხვა სახის სასოფლო — სამეურნეო კოოპერატივების შექმნაში დაინტერესებულია „შეძლებული გლეხობა“ ეს გლეხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბაზართან და იძულებულნი გაჰყიდონ თავისი ნაწარმოები, სამაგიეროთ კი შეიძინონ ისეთი საქონელი, რომელიც თავის მეურნეობაში არა აქვთ, ხშირათ გრძნობენ საშუალებათა საჭიროებას, რომ „დროებით ხელი მოითბონ“ და არ მიმართონ თავისი პროდუქტების არა ხელსაყრელ გაყიდვას. ამ გვარი სიძნელეები კარგათ იციან მევახშეებმა, რომლებიც აძლევენ სესხს გლეხებს და ხშირათ ანადგურებენ თავიანთ მოვალეებს. ამ გამანადგურებელი ექსპლოატაციისაგან თავდაცვის მისწრაფება იყო სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა აღმოცენების ერთი მიზეზთაგანი. ამ ამხანაგობათა ძირითადი ამოცანა მდგომარეობს დაეხმაროს თავის წევრებს ფულადი საშუალებებით. შემდეგში კი ამ ამხანაგობებმა დაიწყეს გლეხურ მეურნეობათა ნაწარმოების გასაღების ოპერაციების წარმოება და ამ მეურნეობათა აუცილებელ იარაღებით მომარაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკრედიტო ამხანაგობებიდან ფულადი დახმარების მიღების შესაძლებლობა მხოლოთ იმ გლეხებს ქონდათ, რომლებიც იძლიოდენ სესხის დაბრუნების გარანტიას. რაც შეეხება პროდუქტების გამსაღებელ და იარაღებით მომმარაგებელ ამხმნაგობებს, ამათში დაინტერესებული უნდა ყოფილიყვენ მხოლოთ შეძლებული მეურნეობანი. ასეთ მეურნეობებს ქონდათ სასაქონლო პურის დიდი რაოდენობა და მაშასადამე, ფულადი საშუალებაც, მხოლოდ ასეთ მეურნეობებს ქონდათ სხვა და სხვა იარაღ-მანქანების შეძენის შესაძლებლობა. საბოლაო შედეგად, საკრედიტო ამხანაგობები ეხმარებოდა შეძლებულ გლეხებს გაემაგრებიათ და განევითარებიათ თავიანთი ინდივიდუალური მეურნეობა, აგრეთვე მათვე შველოდა კონკურენცია გაეწია და გაენადგურებია წვრილი გლეხური მეურნეობა. ამრიგად, სასოფლო-სამურნეო კოოპერაციამ არამც თუ შეუწყო ხელი სოფლად კაპიტალიზმის მოსპობას, არამედ წინააღმდეგ—ხელი შეუწყო სოფლის კაპიტალისტურ გზაზე დაყენებას.

სასოფლო—სამეურნეო კოოპერაციის სამშობლოთ ითვლება გერმანია, სადაც წარსული საუკუნის 60 წლებში აღმოჩნდა პირველი საკრედიტო ამხანაგობა. ამ ხანაში გერმანელი გლეხები აწარმოებდენ ხორბლეულ მეურნეობას. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკა დაბალ დონეზე იდგა და პურის წარმოებაც საკმაო ძვირი ჯდებოდა. სანამ გერმანელ გლეხებს კონკურენტები არა ყავდა, თავის პურში ისინი საკმაო მაღალ ფასსაც იღებდენ. კაპიტალიზმისა, რკინის გზებისა და საოკეანო მიმოსვლის განვითარებით დასავლეთ ევროპაში შემოვიდა ამერიკული და რუსული იაფი პურის დიდი რაოდენობა. გერმანელ გლეხს აღარ შეეძლო მასთან მეტოქეობა, რის შედეგადაც გრმანიის სოფლის მეურნეობა სასტიკ აგრარულ კრიზისს განიცდიდა; ამან კი წვრილი გლეხური მეურნეობათა დიდი რაოდენობა განადგურებამდე მიიყვანა. კრიზისმა სოფლის მეურნეობა ინტენსიურ ფორმაზე გადასვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა. მეცნიერება მიეშველა სოფლის მეურნეობას მთელი რიგი გამოგონებებით. გამოგონებულ იქნა მინერალური სასუქები და სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელმაც შესცვალა ხელით მუშაობა. ყველა ამ გამოგონებებით პირველ რიგში ისარგებლეს მსხვილმა მემამულეებმა. სახელმწიფოს დახმარებით მემამულეები სწრაფად გადვიდენ მეურნეობის ინტენსიურ ფორმებზე, მათ გაყვა გლეხობაც; მაგრამ ამისათვის პირველ ყოვლისა საჭირო იყო როგორც კაპიტალური დაბანდებისათვის (მანქან—იარაღების შეძენა), ისე სეზონური ბრუნვისათვისაც მეურნეობებს ქონოდათ საშუალება მოსავლის აღებამდე და პროდუქტების გაყიდვამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხების ეს გაჭირვება კარგათ იცოდენ კულაკებმა და მემამულეებმა, რომლებიც სოფლელი ბანკირების როლში გამოდიოდენ და აძლევდენ სესხს გლეხებს. ამ დროში სესხი ძლიერ მძიმე იყო. პროცენტების სიდიდე 100-ით განისაზღვრებოდა. ასეთ სესხს დაღუპვამდე მიჰყავდა შეძლებული მეურნეობებიც კი. ამ კაბალური მდგომარეობისაგან თავდახსნის მისწაფება იყო გლეხური კოოპერატიული კრედიტის ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზეზი.

პირველი საკრედიტლ ამხანაგობა მოეწყო 1864 წელს მოხელე რაიფანიზენის მიერ. ამ ამხანაგობის ამოცანა იყო მიეწოდებია გლეხებისათვის წვრილი კრედიტი.

საკრედიტო კოოპ. გამოდგა უფრო შესაფერ ორგანიზაციად გლეხობისათვის, რომელიც იფარავდა მათ მევახშის კლანჭებისაგან და ადიდებდა მეურნეობის საქონლიანობას. ამიტომ საკრედიტო კოოპერაცია ფართედ განვითარდა არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ რიგ ქვეყნებში. ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. შემდეგში საკრედიტო კოოპერატივების გვერდით განვითარდენ კოოპერაციის სხვა ფორმებიც, რომლებიც შველოდენ გლეხებს თავი დაეღწია საშუამავლო კაპიტალის ექპლოატაციისაგან. ასე აღმოცენდენ გასაღების, მომარაგებისა და გლეხური მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ამხანაგობები.

ყველა სახის გლეხური კოოპერატიული ორგანიზაციები, ადიდებდა რა ცალკე მეურნეობათა საქონლიანობას, ძლიერათ აკავშირებდა მას ბაზართან და ხელს უწყობდა კაპიტალისტური ურთიერთობის შიჭრას სოფლათ.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი საკრედიტო ამხანაგობის დამაარსებელი, რაიფაიზენი, საკრედიტო კოოპერატივებში ხედავდა საშუალებას, რომლითაც გლეხებს დაიხსნიდა „სოციალური რევოლიუციის პარტიისაგან,“ რომელიც მიისწრაფოდა „არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების გაუქმებისაკენ.“ რაიფაიზენი მიისწრაფოდა იქითკენ, რომ მდიდართა ქველმოქმედებით შეემსუბუქებინა გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა, შეეჩერებია გლეხთა დაფენება და „სოციალური რევოლიუციის პარტიის“ გავრცელება გლეხობაში. რაიფაიზენის გაგებით, კოოპერაციას უნდა დაენერგა და განემტკიცებია სოფლად სოციალური მშვიდობიანობა. სინამდვილეში კი მოხდა რაიფაიზენის აზრების სრულიად საწინააღმდეგო. საკრედიტო ამხანაგობებმა, არამც თუ შეაჩერეს გლეხთა დაფენება, არამედ ეხმარებოდა რა ცალკე, შეძლებულ მეთრნეთ თავი დაეღწიათ მევახშის კლანჭებისაგან, უფრო ხელს უწყობდა ამ მეურნეობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაგრებას და მაშასადამე, სოფლის შემდგომ დაფენებას. როგორც წინადაც ავღნიშნავდით, საკრედიტო კოოპერაცია გამოდგა შეძლებული გლეხობისათვის უფრო მისაღებ ფორმათ, ამიტომაც ის ფარრედ და ჩქარა გავრცელდა. მაგრამ თავის ზრდასთან ერთად ის უფრო და უფრო ექცეოდა ბურჟუაზიისა და მემამულეთა გავლენის ქვეშ. გლეხურ კოოპერაციაში ბურჟუაზია ხედავდა ერთ-ერთ საშუალებას თავისი ბატონობის განსამტკიცებლათ. ზოგიერთ სახელმწიფოში კი, (მაგ; რევოლიუციის წინა რუსეთში) გლეხური კოოპერაცია. აღმოცენდა მთლიანათ სახელმწიფო ბანკების ფინანსიური დახმარებით, რამაც მიიყვანა ის სრულ დამოკიდებულებამდის და უზრუნველყო ბურჟუაზიული სახელმწიფოს გავლენა გლეხური კოოპერაციის სხვა სახეებზედაც.

დანართი IV

უტოპიური მოძღვრება კოოპერაციის შესახებ.

, რომ დაამტკიცონ კოოპერაციის სოციალისტური წარმოშობა, წვრილ ბურუაზიული კოოპერატორები კოოპერტიული მოძრაობის მამამთავრად სთვლიან ინგლისის უტოპისტს-სოციალისტს რობერტ ოუენს.

თუ რამდენათ მართალია ეს, მივმართოთ ისტორიულ ფაქტებს. რობერტ ოუენი სცხოვრობდა და მოღვაწეობდა ინგლისში „სამრეწველო რევოლიუციის“ პერიოდში, როცა ტეხნიკის სფეროში პროგრესის წყალობით განვითარდა მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, რომელმაც შეავიწროვა და გაანადგურა წვრილი ხელოსნური წარმოება და მის ნაცვლათ შექმნა მსხვილი ფაბრიკები და მანუფაქტურა ასეული და ათასი მუშებით. ამ დროში წვრილი ქალაქები ჩქარა გარაიქმხენ მსხვილ ცენტრებათ, სახალხო სიმდიდრე ძალიან სწრაფათ იზრდებოდა, მაგრამ მის გვერდით იზრდებოდა აგრეთვე კრიზისები, უმუშევრობა, მშრომელი მასების გაღარიბება, მწარმოებელთა და მუშებს შორის ურთიერთობის გამწვავება.

თვალსაჩინო ხდებოდა, რომ ამ პერიოდის ყველა გამოგონებანი კაპიტალისტების მცირე ჯგუფის სასარგებლოთ და გასამდიდრებლათ მიდიოდა, ხოლო ხოლოსან-შინამრეწველთა და გლეხობის დიდი მასის მდგომარეობა კი ძლიერ უარესდებოდა. რ. ოუენი გაცვიბული იყო იმ წინააღმდეგობით, რომელიც მოხდა თან გამოგონებათა ცხოვრებაში გამოყენებას. იმის მაგივრათ, რომ შეემსუბუქებინა მუშების შრომა და გაეუმჯობესებია მდგომარეობა, მანქანების შემოღებამ გააუარესა მუშათა კლასის მდგომარეობა და მთელი ხალხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობა კი წილად ხვდა კაპიტალისტთა მცირე ჯგუფს. აკრიტიკებდა რა კაპიტალისტურ წყობილებას, ოუენი მაინც უარყოფდა კლასთა ბრძოლას და კაპიტალისტური წყობილების დანგრევის რევოლიუციონურ გზებს. მას სწამდა მშვიდობიანი განვითარების გზა, მშვიდობიანი მაგალითებითა და დარწმუნებით ადამიანთა გარდაქმნა და მათი თანასწორობის სამეფოში შეყვანა. აკვირდებოდა რა კაპიტალიზმის ჩქარ განვითარებას და მის მიერ მოტანილ სიღარიბეს, ოუენი კერძო საკუთრების ბატონობაში ხედავდა უბედურებათა სათავეს. კერძო საკუთრება, ოუენის აზრით, „უბედურებისა და სიღარიბის წყაროა, ის უსამართლოა პრინციპში და უაზრო პრაქტიკაში.“ გონივრულათ მოწყობილ საზოგადოებაში თითოეულისათვის შეიძლება უზუნველყოფილი იყოს ყველაფერი, რაც მისთვის აუცილებელია. უარყოფდა რა კერძო საკუთრებას, ოუენი უარყოფდა მასზე დაფუძნებულ მთელ საზოგადოებრივ წყობილებას, მისი წარმოების, გაცვლისა, განაწილებისა და ოჯახურ ურთიერთობის სისტემას. „გონივრულად მოწყობილ საზოგადოებაში გამეფებული იქნება სამართლიანი ურთიერთობა ყველასი თითოეულთან და თითოეულისა ყველასთან. დოვლათის მომხმარებლები იქნებიან თვით მწარმოებლები, გაქრება კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ოჯახიც, ძირითად საზოგადოებრივ ორგანიზაციად იქნება მამაკაცთა, ქალთა და ბავშთა ასოციაცია, რომლის თითოეული წევრი ეხმარება მეორეს,“ ოუენის აზრით, თანდათან მთელი დედამიწა მოიფინება ისეთი თემებით, რომლებიც იქნებიან დამოუკიდებელნი და ურთიერ შეკავშირებული; სახელმწიფო გაქრება, მას შესცვლის კომუნისტური თემების კავშირი.

ამ შეხედულობებიდან გამომდინარე ოუენი აკეთებდა თემების მოწყობის ცდებს, რომლებიც იყო დაფუძნებული თავისუფალ შრომასა და სრულ თავისუფლებაზე. თემების ორგანიზაციის მრავალი ცდები, რომელიც ოუენისა და მისი მიმდევართა მიერ იყო მოწყობილი, წარმატებით ვერ დაბოლავდა: კაპიტალიზმის წიაღში მოწყობილი, ეს თემები ან უნდა დაღუპულიყვენ, ანდა აუცილებლათ უნდა დამორჩილებოდენ კაპიტალიზმის განვითარების კანონებს.

როგორც ვხედავთ, ოუენის თემებს არაფერი აქვთ საერთო კოოპერატივებთან და კოოპერატიულ მოძრაობასთან. ოუენს და მის მიმდევრებს სურდათ კაპიტალისტური სისტემის შიგნით შეექნათ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაშინ, როდესაც კოოპერატივები ეგუებოდენ კაპიტალისტურ პირობებს. წვრილბურჟუაზიული კოოპერატივების ცდა დაამყარონ ნათესაობა ოუენთან, არის ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული ფაქტების დამახინჯება. რაში მდგომარეობს რობერტ ოუენის მოძღვრების და შემდეგში წვრილ ბურჟუაზიული კოოპერატორების უტოპიურობა? რ. ოუენმა და მისმა მიმდევრებმა ვერ გაიგეს უმთავრესი, რომ კაპიტალისტებისა და მუშების ინტერესი შეუთანხმებელია, და რომ კლასთა ბრძოლის გარეშე, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის გარეშე არ შეიძლება კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა. „ძველ კოოპერატორთა აზრებში ბევრი ფანტაზიაა. თავისი ფანტასტიურობით ისინი ხშირად სასაცილონი არიან. რაში მდგომარეობს მათი ფანტასტიურობა? იმაში, რომ ამ ხალხს არ ესმის მუშათა კლასის პარტიული ბრძოლის ძირითადი მნიშვნელობა ექსპლოატატორთა ბატონობის დასამხობად". ასე ახასიათებს ლენინი თავის წერილში „კოოპერაციის შესახებ" სოციალ უტოპისტების ცდას მშვიდობიანი გზით კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნის შესახებ.

დანაართი V

წვრილბურჟუაზიული მოძღვრება კოოპერაციის შესახებ.

როჩდელის პიონერები სხვა გზით წავიდენ, თუმცა მათ შორის იყვენ სოციალ უტოპისტებიც. იმყოფებოდენ რა ნაწილობრივ რობენტ-ოუენის გავლენის ქვეშ, საბოლოო მიზნათ ისინიც ისახავდენ კაპიტალისტური საზოგადოების მშვიდობიანი გზით გარდაქმას. „როგორც კი შესაძლებელი იქნება, საზოგადოება მოაწყობს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც დაამყარებს ურთიერთობას სიმდიდრის წარმოებისა და მოხმარებას შორის. მოქალაქეთა განათლებისა და პოლიტიკურ ცოდნის შორის ის დაარსებს ისეთ ასოციაციას, რომელიც დამყარებული იქნება ინტერესთა ერთიანობაზე"-ო, სწერდენ ისინი თავის მანიფესტში. მაგრამ მუშაობა მაინც სავაჭროს გახსნითა და საკვები პროდუქტებისა და ტანსაცმელის გაყიდვით დაიწყეს ამრიგად, როჩდელის პიონერებმა დაიწყეს არა უტოპიური თემის ორგანიზაციით, არამედ სავსებით რეალური სამეურნეო ორგანიზაციით, რომლის მუშაობა აგებული იყო კაპიტალისტური ვაჭრობის გონიერ პრინციპზე. (ვაჭრობა ნაღდ ანგ-ზზე, საშუალო საბაზრო ფასად და სხ.) „როჩდელის პრინციპებმა," რომელიც საფუძვლათ ედვა კოოპერატიულ პრაქტიკას, უზრუნველყო სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის სამეურნეო სიმტკიცე და მსხვილი მეურნეობის უპირატესობა წვრილ სავაჭრო წამოწყების წინაშე.

სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ყოველდღიური მოთხოვნილების საგნების განსაზღვრული ასორტიმენტით ვაჭრობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომლისთვისაც უზრუნველყოფილი იყო ამ საქონლის თავის წევრებში გასაღება, მიაღწია შედარებით წარმატებას და დაიკავა განსაზღვრული ადგილი კაპიტალისტურ წყობილების ეკანომიკაში. კოოპერატიული მოძრაობის ეს წინასწარი წარმატება გახდა საფუძველი სხვადასხვა კოოპერატიული მოძღვრებისათვის კოოპერაციის „განსაკუთრებული" და „დამოუკიდებელი" როლის შესახებ კაპიტალისტური წყობილების გარდამქნის საქმეში. ამ თეორიების საშუალებით წვრილ ბურჟაზიული კოოპერატორები და შემდეგ სოციალისტ-რეფორმისტები ცდილობენ მუშათა კლასი ჩამოაცილონ რევოლიუციონური ბრძოლის სწორ გზას. ასეთი „წმინდა კოოპერატივიზმის" თეორიის, ანუ „კოოპერატიული წყობილების" მამამთავარი არის შარლ ჟიდი. ეს მიმართულება კოოპერატიულ მოძრაობაში ცნობილია „ნიმის სკოლის" სახელით.

(ქალ. ნიმისაგან, საფრანგეთი), სადაც მუშაობდა აქტიურ კოოპერატორთა ჯგუფი შ. ჟიდის მეთაურობით).

„წმინდა კოოპერატივიზმის" ძირითადი დებულებები შემდეგია: შ. ჟიდი კოოპერატიულ მოძრაობის საფუძველად უდებს სამომხმარებლო კოოპერაციას, როგორც ისეთ ფორმას, რომელშიაც სოლიდარულად შეიძლება გაერთიანდეს მოსახლეობის ყველა ჯგუფთა ინტერესები. რადგანაც ჟიდის სწავლებით მოხმარების სფეროში ყველა საზოგადოებრივი კლასების ინტერესები თანაბარია, ეს მდგომარეობა იძლევა, მისი აზრით, საშუალებას სამომხმარებლო კოოპერაციაში გავაერთიანოთ მთელი მოსახლეობა. სამომხმარებლო კოოპ. პირველათ დაეუფლება ვაჭრობას, შემდეგ გადავა დამამუშავებულ წარმოების დაუფლებაზე, დაბოლოს, თავის განვითარების მესამე საფეხურზე, დაეუფლება მოპოებით მრეწველობას, დედამიწის წიაღსა და მიწათმოქმედებას. „ასე ნელ-ნელა, წყნარად, ძალდატანებას გარეშე კაპიტალიზმი თავის ადგილს დაუთმობს ახალ წყობილებას, სოლიდარობაზე დაუმყარებელს" — კოოპერატიულ წყობილებას.

კოოპერაციის ასეთ გაგებას შ. ჟიდი მიჰყავს არამც თუ კოოპერატიული მოძრაობის პოლიტიკურ ნეიტრალობამდე, არამედ რევოლიუციონურ სოციალიზმისაგან გამიჯვნამდე. რევოლიუციონური სოციალიზმის იდეას — სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობის გზით მოახდინონ „ექსპოპრიატორთა ექსპროპრიაცია", ე. ი. მთელი იარაღები და წარმოების საშვალებანი გახადოს სახელმწიფოს ან საზოგადოების საკუთრებად, შ. ჟიდი უპირისპირებს კაპიტალისტური წყობილების მშვიდობიანი გზით გარდამქნას „წვრილ მესაკუთრეთა, წვრილ კაპიტალისტთა სამეფოდ". ამრიგად, კოოპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული წყობა„ ითვალისწინებს არა კერძო საკუთრების მოსპობას საერთოდ, არამედ მსხვილ საკუთრებისას.

ეს იდეალი არ სცილდება ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს, ის მხოლოდ ცდილობს „გააუნჯობესოს“ უკანასკნელი, შეუფარდოს ის წვრილ მესაკუთრეთა ინტერესებს.

შ. ჟიდის მოძღვრება სამომხმარებლო კოოპერაციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ძირითადი მიღებულია დასავლეთის კოოპერატიული მოძრაობის მივრ. საერთაშორისო კოოპერატიულმა კავშირმა (ალიანსმა), რომელსაც სოციალისტ-რეფორმისტები ხელმძღვანელობდენ, თუ ძირითადათ არ მიიღო შ. ჟიდის „კოოპერატიული რესპუბლიკის“ იდეა, მაინც სდგას კოოპერატ. მოძრაობის „აპოლიტიკურობისა“ და „ნეიტრალობის“ თვალსაზრისზე და აღიარებს, რომ კოოპერაცია არის კაპიტალისტური წყობილების მშვიდობიანი გარდაქმნის საშვალებაო .საჭირო არ არის ვამტკიცოთ, რომ ნიმის სკოლის იდეალს არაფერი აქვს საერთო სოციალიზმთან და მით უმეტეს, კომუნიზმთან. უკანასკნელი გულისხმობს ყოველგვარი საკუთრების სრულ გაუქმებას, მაშინ როცა „კოოპერატიული წყობა“ ინარჩუნებს ცალკე კოოპერატიულ უჯრედების ჯგუფურ საკუთრებას და საბოლოოდ სხვადასხვა კოოპერატიული უჯრედების წევრთა შორის ეკონომიურ უთანასწორობას.

„კოოპერატივიზმის“ სისტემა, ქმნის რა ფანტასტიურ იმედებით გაჟღენთილს განსაკუთრებულ იდეოლოგიას კაპიტალისტური წყობილების მშვიდობიანი გარდამქნის შესახებ კოოპერაციის საშვალებით, მუშათა ჩამორჩენილ ფენებს შორის ქმნის ილიუზიას (შეიძლება კვალიფიციურებშიაც, დიდ ხელფასიან მუშებშიც) განსაკუთრებით კლასთა ბრძოლის შენებლების პერიოდში, კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობისა და მშვიდობიანი ევოლიუციის შესაძლებლობის შესახებ — წინააღმდეგ რეოლუციისა, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს სახალხო მეურნეობა. „კოოპერატივიზმის სისტემა“ ცდილობს ჩანერგოს მუშათა მასებს შორის „სოციალური მშვიდობიანობის“ ილიუზია, შთააგონოს მას კლასთა ბრძოლის უმიზნობა და ამრიგად დაუფასებელ სამსახურს უწევს პროლეტარიატის კლასიურ მტრებს.

დასავლეთ ევროპის კოოპერაციის „კოოპერატიული იდეოლოგიის“ მნიშვნელობა კარგად აქვს შეგნებული ბურჟუაზიას. ბურჟუაზიამ კარგად შეიგნო, რომ კოოპერაცია, რომელიც „კლასთა თანამშომლებისა“ და ევოლიუციონური განვითარების პრინციპებს ქადაგობს, მისთვის საშაში კი არ არის, არამედ შეიძლება ძლიერ საიმედო იარაღიც იყოს ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმისტებისა და სოციალ-ფაშისტების დახმარებით, რომლებიც დასავლეთ ევროპის კოოპერატიულ მოძრაობას ხელმძღვანელობენ და კლასთა მშვიდობიანობის შესახებ ქადაგებით გამოდიან, ბურჟუაზია თავის გავლენას უმორჩილებს სამომხმარებლო კოოპერაციას და თავის სამსახურში აქცევს მას.

დანაართი VI

ვ. ი. ლენინი კოოპერაციის შესახებ კაპიტალიზმის დროს.

ლენინი სასტიკად ებრძოდა წვრილ ბურჟუაზიულ კოოპერატორთა მოძღვრებას, ააშკარავებდა მათი „თეორიების" მავნებლობას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე კოპენჰაგენში (1910 წ.) თავის მიერ წარდგენილ რეზოლიუციის პროექტში კოოპერაციის შესახებ, ის შემდეგ ნაირად ახასიათებს სამომხმარებლო კოოპერაციის როლსა და მნიშვნელობას მუშათა კლასისავის: „პროლეტარული სამომხმარებლო საზოგადოებანი აუმჯობესებენ მუშათა კლასის მდგომარეობას იმ მხრივ, რომ ამცირებენენ ყველა ჯურის სავაჭრო შვამავალთა ექსპლოტაციას; გავლენას ახდენენ იმ მუშათა შრომის პირობებზე, რომლებიც მიმწოდებელთა ორგანიზაციებში არიან ჩამბული და აუმჯობესებენ საკუთარ თანამშრომელთა მდგომარეობას. 1. რომ ამ ამხანაგობებს შეიძლება ქონდეთ დიდი მნიშვნელობა პროლეტარიატის ეკანომურ და პოლიტიკური მასიური ბრძოლის საქმეში, ეხმარება რა მუშებს გაფიცვების, ლოკაუტებისა და პოლიკური დევნის დროს და სხვ. მეორეს მხრივ, კონგრესი აღნიშნავს, რომ გაუმჯობესება, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას სამომხმაბლო ამხანაგობის მეშვეობით, შეიძლება იყოს მხოლოდ ძლიერ უმნიშვნელო მანამ, სანამ საწარმოო საშვალებანი იმყოფება იმ კლასის ხელში, რომლის ექსპროპრიაციის გარეშე არ შეიძლება სოციალიზმის განხორციელება.

2. რომ სამომხმარებლო საზოგადოებანი არ წარმოადგენენ ორგანიზაციებს კაპიტალთან უშუალოდ ბრძოლისათვის და არსებობენ სხვა კლასების ასეთი მსგავსი ორგანიზაციების გვერდით, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ილიუზია, რომ ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ საშუალებებს, რომლის მეშვეობით სოციალისტური საკითხები შეიძლება გადაწყვეტილ იქნას კლასთა ბრძოლისა და ბურჟუბზიის ექსპლოტაციის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონგრესი მოუწოდებს მთელ ქვეყნის მუშებს: ა) ჩაეწერონ პროფესიონალურ სამომხმარებლო საზოგადოებაში და ყველა მხრივ შეუწყონ ხელი მათ განვითარებას, ამასთან უნდა იბრძოლონ ამ ორგანიზაციების დემოკრატიული ხასიათისათვის. ბ) სამომხმარებლო კოოპერატივებში სოციალისტურ პროპაგანდის გზით ხელი შეუწყონ მუშებს შორის კლასთა ბრძოლისა და სოციალიზმის იდეის გავრცელების. მ) ისწრაფონ ამასთან ერთად მიაღწიონ მუშათა მოძრაობის ყველა ფორმების უფრო მეტ დაახლოებას,,

როგორც დავინახეთ, ვ. ი. ლენინის რეზოლიუცია ლაპარაკობს მუშათა სამომხმარებლო კოოპერაციისა, და არა საერთო სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ მ ს წევრთა კლასიური შემადგენლობის მიუხედავად. რეზოლიუცია გარკვევით აფრთხილებს მუშათა კლასს ილიუზიებისაგან და გარკვევით ხაზს უსვავს, რომ კოოპერაციას არ შეუძლია მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, სანამ არსებობს კაპიტალისტური წყობილება და ოცნება კოოპერაციის საშუალებით, კლასთა ბრძოლის გარეშე, კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნის შესახებ, არის მავნე უტოპია. ლენინი აღიარებდა მუშათა სამომხმარებლო საზოგადოებების ზოგიერთი დადებითი როლს იმ შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოებები თავის მუშაობაში დაკავშირებული არიან მუშათა კლასის სხვა ორგანიზაციებთან (პარტია, პროფ. კავშირებ) — დაეხმარება მათ კაპიტალისტურ წყობილებისთან ბრძოლაში.

ამავე კონგრესზე ლენინმა მოგვცა აგრეთვე მითითებები მუშათა კოოპერატივის როლის შესახებ მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ. სოციალ — რეფორმისტების რეზოლიუციის პროექტში არის კოპერაციის როლის შემდეგი დახასიათება: „კოოპერატივებს მივყევართ წარმოებისა და გაცვლის დემოკრატიზაციისა და სოციალიზმისაკენ". ამ განმარტებით კონგრესის მონაწილეებს — რეფორმისტებს სურდათ გაეძვრინათ თავისი იდეა კოოპერაციის მეშვეობით კაპიტალიზმის მშვიდობიანი გარდაქმნის შესახებ. ლენინი წინადადებას იძლეოდა ეს ადგილი შეეცვალათ შემდეგი სიტყვებით: ,,კაპიტალისტების კლასის ექსპროპრიაციის შემდეგ ერთგვარათ ამზადებენ გაცვლის პროცესებს''

ეს შესწორება ძირითადათ სპობდა ყოველგვარ კოოპერატიულ ილიუზიებს სამომხმარებლო კოოპერაციის დამოუკიდებელი როლის შესახებ კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნის საქმეში და ხაზს უსვამდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შეუძლია მუშათა კოოპერაციას დაეხმაროს მუშათა კლასს პროდუქტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განაწილების საქმეში. კიდე უფრო გადაჭრით აღიარებდა ლენინი გლეხურ (სასოფლო-სამეურნეო) კოოპერაციის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას კაპიტალიზმის პირობებში. თავის საპოლემიკო წერილებში ხალხოსნებთან, რომლებიც ოცნებობდენ გლეხობის სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის შესახებ არტელებით, საკრედიტო ამხანაგობათა და სხვ.., ლენინი აღნიშნავდა, რომ საკრედიტო ამხანაგობით (ისე როგორც საკრედიტო დაწესებულებათაც) სარგებლობა შეუძლია მხოლოთ შენლებულ ფენას. ღარიბი ცნობილი იქნება არა კრედიტუნარიანად და სესხს ვერ მიიღებსო. ამავე დროს კი გლეხებს შორის ღარიბები უფრო მეტნი არიან. გლეხთა შეძლებულ ფენას კრედიტი დახმარება კიდევ უფრო გაამაგროს თავისი ინდივიდიალური მეურნეობა, ხელს შეუწყობს კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად, ექსპლოატაციისა და დაფენების ზრდას.

„ყველა ამ კრედიტით, გაუმჯობესებით, ბანკებით და სხ. პროგრესით, სწერს ლენინი თავის შესანიშნავ წიგნში „რა არის ხალხის მეგობრები“ — ისარგებლებს ის, ვისაც აქვს თავისი მეურნეობიდან განსაზღვრული დაგროვება, ე. ი. უმცირესობის, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელები“. ყველა ასეთ ღონისნიებებს „შეუძლიათ გააძლიეროს მხოლოთ წვრილი ბურჟუაზია“. სწერს ლენინი ამავე წიგნის სხვა ადგილას. „საქმით ყველა ამაებს მივყევართ „მომჭირნე გლეხების“, წვრილი ფაბრიკანტის ან გადამყიდველის, საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლების დახმარებისაგან“, სწერს ლენინი „კუსტარული აღწერა 1894/95 წ.“

საკრედიტო ორგანიზაციების აღმოცენება — განვითარება სოფლად ნიშნავს კოოპერაციის სვლას არა სოციალიზმის მხარისაკენ არამედ „გამოხატავს მოზარდი კაპიტალიზმის მოთხოვნილებებს“, კაპიტალიზმის შეჭრას სოფელში.

დ ა ს კ ვ ნ ა

ზემო აღნიშნულ ისტორიულ მასალის შესწავლის დაჯამების დროს, მიუხედავათ იმისა, რომ მასალა მოკლედ იყო მოყვანილი, ჩვენ მაინც შეგვიძლია გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ კოოპერაციის როლის შესახებ კაპიტალიზმის დროს. კოოპერაციის ნამდვილი როლის სწორ გაგებაში ჩვენ დიდ სამსახურს გვიწევს პრაქტიკული გამოცდილება ს. ს. რ. კ. სოციალისტურ მშენებლობაში კოოპერაციის მონაწილეობის შესახებ. როგორი დასკვნები შეგვიძლია ჩვენ გამოვიტანოთ? პირველ ყოვლისა, ისტორიული ფაქტები გვეუბნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იან, რომ ბურჟუაზიული და რეფორმისტ კოოპერატორების წინააღმდეგ
წარმეტყველება „კოოპერაციის სოციალიზმში მშვიდობიანი შეზ-
რდის“ შესახებ არის არა უბრალო შეცდომა, არამედ ბურჟუაზიის
ლაქიების, შეგნებული ტაქტიკა ბურჟუაზიის ბატონობის დასაცავად
და მიზნად აქვს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლისაგან
ჩამოცილება. რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ისტორია, რო-
მელსაც ჩვენ ქვემოთ გავეცნობით, კიდევ უფრო დაამტკიცებს ლენი-
ნის სწორ შეხედულებას კოოპერაციაზე.

კოოპერაცია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო სის-
ტემას, არამედ ის მთლიანად დამოკიდებულია იმ სოციალ-ეკონომიური
პირობებისაგან, რომელშიც ცხოვრობს და მუშაობს და კაპიტალიზმის
დროს იძულებულია დაემორჩილოს კაპიტალისტური ეკონომიკის
განვითარების კანონებს. ბურჟუაზიულ კოოპერატორების მისწრაფე-
ბა წარმოიდგინონ „კოოპერაციის მშვიდობიანი შეზრდის შესაძლე-
ბლობა სოციალიზმში“ შრომას და კაპიტალს შორის გამწვავებულ
კლასთა ბრძოლის პირობებში წარმოადგენს მუშათა კლასის ინტე-
რესებს გამყიდველობას. კაპიტალიზმის პირობებში კოოპერაცია არამც
თუ ეგუება კაპიტალისტური ეკონომიკის კანონებს (როჩდელის პრ-
ინციპები), არამედ არ არის რა კაპიტალისტური ტიპის წარმოება,
კაპიტალისტური მონოპოლის ბატონობის პირობებში იძულებულია
შეეზარდოს კაპიტალისტური წამოწყებებს (სამომხმარებლო კოოპე-
რაცია); აგრეთვე ის ხდება სოფლად კაპიტალიზმის განვითარების
ერთ-ერთ აუცილებელ რგოლად და უმორჩილებს სოფლის მეურნეობას
საბანკო კაპიტალის კონტროლსა და ექსპლოტაციას (სასოფლო-
სამეურნეო კოოპერაცია).

კაპიტალიზმს პირობებში კოოპერაციის დადებითი როლი მხო-
ლოდ იქ მჟღავნდება, სადაც სამომხმარ. კოოპერაცია მუშათა კლასის
სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს უკავშირდება. ამ შემთხვე-
ვაში კოოპერაციას შეუძლია დადი დახმარება გაუწიოს მუშათა კლასს,
აძლევს რა კრედიტს გაფიცვების, ლოკაუტებისა და უმუშევრობის
დროს. ჩვენ მხოლოდ ხაზს უსვამთ კოოპერაციის განვითარებულ სამ-
ურნეო როლს კაპიტალისტური წყობილების დროს.

სულ სხვა მნიშვნელობას მოიპოებს კოოპერაცია მუშათა კლასის
მიერ ხელისუფლების დაპყრობისას. მის შემდეგ, როდესაც ფაბრი-
კები, ქარხნები, ბანკები, ტრანსპორტი, ყველა ე. წ. საკომანდო
მრეწველობი პროლეტარულ სახელმწიფოს საკუთრებად ხდებიან,
კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა არსებითად იცვლება. ამ პირ-
ობებში, კოოპერაცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდება სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან ბერკეტად. ეყარ-
რება რა სახელმწიფოსა და ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობის
დახმარებას, კოოპერაცია ებრძვის კერძო — კაპიტალისტური ვაჭრ-
ობის ნაშთებს, ანზოგადოებს საქონელთ ბრუნვას, და სოციალისტურ
მშენებლობის წარმატებების ზრდასთან ერთად, გარდაიქცევა პროდ-
უქტების სოციალისტური განაწილების აპარატათ, ამგვარადვე, სასო-
ფლო-სამეურნეო კოოპერაცია, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანე-
ლობით, ემყარება რა სახელმწიფოსა და მსხვილი მრეწველობის მა-
ტერიალურ—ტეხნიკურ ბაზას, უნდა გახდეს მსხვილი სასოფლო
მეურნეობის ორგანიზატორად, წარმართავს რა ამ მეურნეობის გან-
ვითარებას სოციალისტური გზით. ახალ სოციალურ ეკონომიურ პი-
რობებში, ახლადაც იცვლება კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა.

მაგრამ ყველა ეს შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასის თა-
ვის კლასიურ მტერ—ბურჟუაზიაზე რევოლიუციონური გამარჯვების
შემდეგ. ამ გზაზე უნდა შესდგეს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა
კლასი. წვრილ ბურჟუაზიულ კოპერატორების წინასწარმეტყველება
კოოპ. საშუალებით „სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის“ შესახებ
უნდა უარყოფილი იქნას, როგორც მავნე ილიუზია, რომელიც მუშათა
კლასს ართმევს ბრძოლის საშუალებას კაპიტალიატური წყობილების
წინააღმდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განაკვეთი მეორე

კოოპერაცია რუსეთში რევოლიუციის წინ

განაკვეთის მიზანი

რევოლიუციის წინ რუსეთში კოოპერაციის ჩასახვა-განვითარების ისტორიულ მაგალითზე პირველი განაკვეთის დასკვნების სისწორის შემოწმება საზოგადოებრივი კლასთა ბრძოლის საქმეში კოოპერაციის როლის შესახებ.

დამუშავების გეგმა		სამუშაო მასალა
1)	დამოკიდებული საქარხნო მომხმარებელთა საზოგადოების აღმოცენების მიზეზები . . .	დანართი I
2)	კინოვის სამომხმარებლო საზოგადოება . . .	„ II
3)	კოოპერაციის ზრდა 1905 წ. რევოლუციის შემდეგ	„ III
4)	გლეხური კოოპერაცია რუსეთში	„ IV
5)	წვრილბურჟუაზიული პარტიების (მენშევიკ-ესერების) როლი კოოპერაციაში რევოლიუციის წინ . .	„ V
6)	კოოპერაცია იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლიუციის პერიოდში	„ VI
7)	რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) და ლენინი სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ რევოლიუციის წინა პერიოდში	VII-VIII

მეთოდიური შენიშვნები

რუსეთის რევოლიუციის წინ კოოპერაციის მოკლე ისტორიული მიმოხილვა იძლევა მდიდარ მასალას, რომელიც ადასტურებს კოოპერაციაზე მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებათა სისწორეს. განსაკუთრებული ყურადღება აქ უნდა მიექცეს ორი უკანასკნელი დანართის VII-VIII) დაკვირვებით დამუშავების, რომელშიაც აღნიშნულია ბოლშევიკების პარტიის პოზიცია იმ დროის კოოპერატიული მოძრაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაო მასალა მეორე განაკვეთისათვის

დანართი I

დამოკიდებული საქარხნო მოხმარებელთა საზოგაღოების აღმოცენების მიზეზები.

კოოპერაციის ჩასახვა-განვითარების ისტორიული ცდა რუსეთში როგორც რევოლიუციამდე, ისე ოქტომბრის შემდეგაც, იძლევა მდიდარ მასალას, რომელიც ადასტურებს ბოლშევიკური პარტიისა და ლენინის სწორ თეორიულ შეხედულებას კოოპერაციაზე. რევცლიუციის ცეცხლში მოხდა წვრილბურჟუაზიული თეორიისა და პრინციპების შემოწმება კოოპერატიული მოძრაობის „ზეკლასიურობის", „აპოლიტიკურებისა" და „დამოუკიდებლობის" შესახებ. ეხლა უკვე ჩვენ ცდით მივიღეთ დამტკიცება იმ კოოპერატიული თეორიების მატყუარობის შესახებ, რომ თითქოს „კოოპერაციის საშუალებით შეიძლებოდეს კაპიტალისტური საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნა". რუსეთის მუშათა კლასმა ოქტომბერში დაამტკიცა, რომ მისი განთავისუფლება და კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გზით. წვრილ ბურჟუაზიულმა კოოპერატორებმა ძი, თავიანთი დამოკიდებულებით საჭიროთა ხელისუფლებისადმი დაამტკიცეს, რომ ყველა მათი პრინციპები „ზეკლასიურობისა", „ნეიტრალობისა" და „აპოლიტიკურობის" შესახებ — მტკნარი სიცრუეა. გამოდიოდენ რა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, იმათ კიდევ ზედმეტათ დაამტკიცეს ბოლშევიკური პარტიის მითითების სისწორე, რომ რევოლიუციონურ ბრძოლაში კოოპერაციას არ შეუძლია დარჩეს ნეიტრალური და რომ კოოპერაციამ მკვეთრად უნდა განსაზღვროს თავისი პოზიცია: ან პროლეტარულ რევოლიუციასთან, ან მის წინააღმდეგ. წვრილ ბურჟუაზიული კოოპერატორები ცდილობდენ რევოლიუციის წინააღმდეგ წასვლას, მაგრამ რევოლიუციამ ისინი თავიანთი კოოპერატიული თეორიებით ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისროლა. მუშათა კლასმა კომპარტიის ხელმძღვანელობით გადაახალისა ძველი კოოპერაცია და მიმართა ის სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისაკენ.

რუსეთში კოოპერატიული მოძრაობა აღმოცენდა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც საზღვარ გარეთ. კოოპერატიული მოძრაობა აღმოცენდა რუსეთში მხოლოდ მაშინ, როცა გაჩნდა სამრეწველო პროლეტარიატი და გლეხური მეურნეობა ნატურალურიდან გადავიდა სასაქონლო მეურნეობაზე, როცა ეს მეურნეობა იძულებული ხდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა თავისი პროდუქტები გაასაღოს, ხოლო სამაგიეროდ შეიძინოს საჭირ-ნელი თავისი მოხმარებისათვის. მრეწველობის განვითარება რუსეთში ჩქარის ტემპით 1851 წლიდან წავიდა, მას შემდეგ, როცა ფართედ გაიშალა სარკინისგზო მშენებლობა და განსაკუთრებით კი, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ. თუ გლეხობის განთავისუფლებამდე ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა ყმების შრომას იყენებდა, სამაგიეროდ მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის მთელი მრეწველობა წმინდა კაპიტალისტური გახდა. ბატონ-ყმობის გაუქმებით, კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდითა და კაპიტალიზმის შეჭრით სოფელში დაიწყო გლეხური მეურნეობის განადგურება და „თავისუფალი" პროლეტარიატის არმიის ზრდა.

მუშების შრომისა და ცხოვრების პირობები იმ დროს იყო ძლიერ მძიმე. მოსკოვის ერობის ცნობით, 1870-80 წ. წ. მუშაობდენ 12-14, ხან კი 16-19 საათს დღე და ღამეში. ფაბრიკებში მუშაობდენ ბავშები, რომელთა სამუშაო დღე ეთანაბრებოდა დიდებისას. ხელფასი მამაკაცთათვის თვეში იყო 13 მ. 75 კ., ქალებისათვის 10 მ. 97 კ., ბავშთათვის 5 მ. ხელფასი იცემოდა თვეში ერთხელ ხან, კი ოთხ თვეში ერთხელ. 1886 წლამდე ხელფასი მუშებს ეძლეოდა ნატურით საქარხნო დუქნებიდან, რომლებიც აძლევდენ მუშებს კრედიტს; ეს მდგომარეობა რკინის ჯაჭვით აბამდა მუშას ფაბრიკა-ქარხნებთან.

ამ პერიოდში მუშები მოკლებულნი იყვენ საშუალებას შეექმნათ თავიანთი კოოპერატიული ორგანიზაციები. ამისი მიზეზი იყო მუშების სრული დამოკიდებულება ფაბრიკანტებისა და მექარხნეებისაგან, მათი დუქნებისაგან. ფაბრიკის დუქნიდან საქონლის წაღება კი სავალდებულო იყო. აი რა სწერია მოსკოვის ფაბრიკების გამოკვლევაში, რომელიც მოხდენილ იქნა 70-ანი წლების ბოლოს და 80 წ. დასაწყისში: „ვოსკრესენსკის მანუფაქტურაში სურსათ-სანოვაგის შესყიდვა ხდება აუცილებლად ფაბ-იკის დუქნიდან, ამასვე ვხედებით ქალალდის სხვა ფაბრიკებსა და ბალინისა და მაკაროვის ქალალდის სართავ ფაბრიკებში, სადაც მუშებს ეკრძალებოდათ მიეტანათ ფაბრიკის ეზოში სურსათ სანოვაგე. ეგოროვ ს საფეიქრო ფაბრიკაში, პირობის თანახმად, არტელი ვალდებულია სურსათ სანოვაგე წაიღოს მექარხნის დუქნიდან ან იქიდან, სადაც ის უჩვენებს. „(ბალაბანოვი" მუშათა კოოპერაც ის ისტორია") ყველა ამას მოჰქონდა ფაბრიკანტებისათვის დიდი სარგებლობა. დიდ ფაბრიკებში დუქნიდან შემოსავალი შეადგენდა წლიური ბრუნვის 10-12 %, ე. ი. 150 მანეთის წლიური საშუალო გამომუშავების დროს მუშის გადახარჯვა შეადგენდა 15-20 მანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა მთელი რიგი მღელვარებებისა 1884 წ. და განსაკუთრებით მოროზოვის მანუფაქტურაში მნიშვნელოვანი გაფიცვის შემდეგ, 1885 წ. მთავრობა იძულებული შეიქმნა გამოეცა ახალი კანონი „მუშათა დაქირავების შესახებ ფაბრიკა-ქარხნებში „(18865 წ.) ეს კანონი კრძალავდა ანგარიშის გასწორებას საქონლით და აწესებდა ხელფასის გაცემის ვადას არა ნაკლებ ერთისა თვეში. საქარხნო დუქნების შესახებ კანონი ამბობდა: „მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების შენობებში შესაძლებელია გაიხსნას სამომხმარებლო საზოგადოებათა დუქნები მუშა-მოსამსახურეთა მოსამარაგებლად იაფი საქონლით". სხვა დუქნების გახსნა ამავე მიზნით შესაძლებელი იყო მხოლოდ საფაბრიკო ინსპექციის ნებართვით. ფაბრიკანტებმა შესძლეს ამ კანონის თავის ინტერესებისათვის გამოყენება. მათ დაიმორჩილეს სამომხმარებლო საზოგადოებანი, აძლევდენ რა მათ სესხს.

დანართი II

კინოვის სამომხმარებლო საზოგადოება

ამ პერიოდში აღმოცენდა დამოკიდებითი საფაბრიკო-საქარხნო კოოპერაცია, რომელიც იქმნებოდა არა მუშებისაგან, არამედ ფაბრიკანტებისაგან, ადმინისტრაციისა და მოსამსახურეებისაგან. ასეთი იყო მაგალითად კინოვის სამომხმარებლო საზოგადოება (ურალი, კინოვის ქარხანა). ეს კოოპერატივი განვითარდა მხოლოდ ქარხნის ადმინისტრაციის დახმარებით, რომელმაც მისცა მას დიდი კრედიტი. სრულუფლებიან წევრებათ და საზოგადოების ყველა საქმეების ხელმძღვანელებათ იყვენ მოსამსახურეები. მუშები მხოლოდ შემსყიდველები იყვენ, რომლებიც თავისი შესყიდვით ადიდებდენ კოოპერატივის მოგებას და ეს მოგება პაის მიხედვით ნაწილდებოდა ადმინისტრაციისა და მოსამსახურებს შორის. მხოლოდ 90 წლების ბოლოს შესძლეს მუშებმა გაფიცვების საშუალებით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება და მასიურად შევიდნენ წევრებათ კოოპერატივში. ასე იქნებოდა ამ პერიოდში დამოკიდებული სამომხმარებლო საზოგადოებები. მათ აარსებდა ადმინისტრაცია და მაღალხელფასიანი მოსამსახურეები, რომლებიც იღებდენ კოოპერატივის მთელ მოგებას, რადგანაც ის ნაწილდებოდა არა ნავაჭრის, არამედ პაის მიხედვით. ამ კოოპერატივებში პაი მაღალი იყო და ხელმიუწვდომელი დაბალი მუშებისათვის (15-20-50 მ. და ზევით).

როგორც ვხედავთ, ამ კოოპერატივებს არ შეეძლო რაიმე სარგებლობა მოეტანათ მუშებისათვის, მაგრამ მუშები მაინც ეწერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდენ შით, რადგანც მათ აიძულებდა მცირე ხელფასი, რომელიც დაგვიანებით ეძლეოდათ, ფაბრიკანტებისაგან საბინაო დამოკიდებულება და სხ. ეს კოოპერატივები, იმყოფებოდენ რა ადმინისტრაციის სრულ დამოკიდებულებაში, ამდიდრებდენ ადამიანთა მცირე ჯგუფს და არსებითად წარმოადგენდენ მუშათა შებორკვის ახალ სახეს. ამიტომ გასაგებია მუშების მტრული დამოკიდებულება მათდამი, რაც გამოიხატებოდა გაფიცვებისა და მღელვარების დროს ხშირად კოოპერატიული დუქნების დაწვასა და დამტვრევაში (ასე იყო მაგალითად, ორეხოვო-ზუევოში, სორმოვოში და სხ.).

წარსული საუკუნის 90 წლები იყო კოოპერაციის მშენებლობის დასაწყისი ქალაქად და სოფლად. დამოკიდებული კოოპერატივების გვერდით ჩდებიან უკვე, თუმცა მცირე რაოდენობით, მუშათა დამოუკიდებელი კოოპერატივები, იზრდება მასში მონაწილეთა რიცხვი. 1901-05 წ. მუშათა კლასი, რომელიც გართული იყო თვითმპყრობელობასთან პოლიტიკურ ბრძოლაში, ვერ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას კოოპერაციას, რის შედეგადაც 1905 წლამდე მუშათა კოოპერატივები ძირითადათ რჩებოდენ „დამოკიდებულად“.

დანართი III

კოოპერაციის ზრდა 1905 წ. რევოლიუციის შემდეგ

კოოპერატიული მოძრაობის განვითარებაში უდიდესი გაქანება მოხდა 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ. უახლოესი 6 წლის განვავლობაში (1905-1911 წ. წ.) აღმოცენდა 5 ჯერ უფრო მეტი სამომხმარებლო საზოგადოებანი, ვიდრე წინა 40 წლის განმავლობაში. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რამაც გამოიწვია კოოპერატიული მოძრაობის გაძლიერებული ზრდა, იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების არევ-დარევა, რაც იყო რუსეთ-იაპონიის ომსა და რევოლიუციონური მოძრაობის შედეგი. ამ პერიოდში ძლიერ გაიზარდა ფასები კვების პროდუქტებზე და პირველ მოთხოვნილების საგნებზე. თუ 1890-99 საშუალო ფასებს ყველა საგნებზე მივიღებთ 100-ად, მაშინ 1905 წლის საშუალო ფასები უდრიდა 115-ს, 1906 წ. 124, 9, 1907 წ. — 113,5. 1905 წლის შემდეგ აღსანიშნავია დამოუკიდებელი კოოპერატივების თანდათანობითი ზრდა და 1911 წლისათვის უკვე 92 ითვლებოდა.

სამომხმარებლო კოოპერაციის აღმოცენების ისტორია რუსეთში ამტკიცებს, რომ კოოპერაციის აღმოცენდება მხოლოდ კაპიტალისტურ პირობებში, სადაც ამისთვის იქნება შესაფერი პირობები: განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული სასაქონლო-ფულადი მეურნეობა, ბაზრის ბატონობა და მომხმარებელთა დიდი მასის არსებობა, რომლებიც იძულებული არიან მიმართონ ბაზრის სამსახურს. გამყიდველები, შუამავლები, მევახშეები სპეკულიანტები, ყველა ესენი მტაცებლურად ძარცვავენ მომხმარებლებს და რომ დაიცვან თავი მათი მძარცველობისაგან, მომხმარებლები ქმნიან სამომხმარებლო საზოგადოებებს.

პირველ საუბარში ჩვენ ავღნიშნეთ, რომ კოოპერაციის განვითარება დამოკიდებულია იმ სოციალურ-ეკონომიური პირობებისაგან, რომელშიც ის ცხოვრობს და მოქმედობს. ეს დასკვნა დასტურდება აგრეთვე რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ისტორიაშიც. როგორც ვხედავთ, კაპიტალიზმის განვითარების პირველ პერიოდში მუშათა დამოკიდებულება მექარხნეების დუქნებიდან არ აძლევდა მათ სამშუალებას შექმნათ თავისი კოოპერატიული ორგანიზაციები. მაგრამ შემდეგშიაც, ხელფასის ნატურით გაცემის სისტემის გაუქმების შემდეგ, მიზეზების მთელი რიგი, რომელთა შორის უმთავრესია მცირე სამუშაო ქირა, უშლიდა ხელს მუშებს შეექმნათ თავისი კოოპერატივები. მუშებს არ ქონდათ ამ საქმის გახვითარებისათვის საჭირო საშუალებები: ისინი იძულებულნი იყვენ მიემართათ ფაბრიკანტების დახმარებისათვის, მიეღოთ მათგან სესხი და ამის შედეგათ კი ისინი მათ სრულ დამოკიდებულებაში ვარდებოდენ. ყველა ამან თავისი დაღი დასვა რუსეთის მუშათა კოოპერატიულ მოძრაობას, რომელსაც დიდხანს „დამოკიდებით“ კოოპერატივების სახე ქონდა.

დანართი IV

გლეხური კოოპერაცია რუსეთში

სოფელშიაც კოოპერაციის განვითარება დაიწყო მხოლოდ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შემდეგ, როცა გლეხური მეურნეობა ნატურალურიდან გადავიდა სასაქონლო მეურნეობაზე. რკინის გზის ქსელის გაფართოებამ გლეხური მეურნეობა ჩაბა სასაქონლო მეურნეობაში.

გლეხი მევახშისაგან იღებდა ფულს მძიმე ხარჯების გადასახდელად. დაწყებული 1865 წლიდან ერობების დახმარებით დაიწყო საკრედიტო კოოპერატივების ორგანიზაცია. რომელსაც მიზნად ქონდა დასახული გლეხების დახსნა ვაჭრებისა და მევახშეებისაგან, რომლებიც პურის ქვეშ სესხის მიცემით ყვლეფდენ მათ. 1883 წელს ითვლებოდა 1103 შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამხანაგობებს სესხს საწარმოო ხასიათი არ ქონდა და უმეტეს შემთხვევაში მსესხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი მას სამომხმარებლო მიზნისათვის ხმარობდა, განსაკუთრებით გლეხური მეურნეობები, რომელიც 1891 წლის შიმშილობისაგან შერყეული იყო. საბოლოო ჯამში, კოოპერატიული მოძრაობის ეს სახე ვერ განვითარდა, ათი წლის განმავლობაში (1884-1895 წლებში) საკრედიტო კოოპერატივების რიცხვი კიდევაც შემცირდა 268 ერთეულით. კოოპერატიული მოძრაობის შენელების ძირითადი მიზეზი სოფლად ამ პერიოდში არის ის, რომ კრედიტს არ ქონია საწარმოო ხასიათი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უფრო ჩქარი განვითარება ხდება 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ. თავად-აზნაურობის ნაწილმა დავალიანების წყალობით დაჰკარგა თავისი მამულები, რომელიც გადადიოდა ვაჭრების, შეძლებული გლეხებისა და ნაწილობრივ იმ მემამულეთა ხელში, რომლებიც თავის მეურნეობას კაპიტალისტურ წესზე აგებენ. 1905-12 წ. წ. მემამულეებმა დაჰკარგეს თავიანთი მამულების მეოთხედზე მეტი: 1905 წელს ქონდათ 51 მილიონი დესეტინა, 1912 წელს დარჩათ 37,5 მილიონი.

როცა სასოფლო მეურნეობა ხდება ფულადი და სასაქონლო, იწყება გლეხობის დიფერენციაცია, ძლიერდება შეძლებულ გლეხთა ჯგუფი, რომელიც ადიდებს რა თავის მიწების ფონდს, გადადის მიწად მოქმედების უფრო მაღალ ფორმებზე. ეს იწვევს მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებზე. იმ მანქანების მოხმარება, რომელიც რუსეთში მზადდებოდა 1908 — 12 წ. 5ჯერ გაიზარდა. (10დან-54 მილიონ მანეთამდე).

მეურნეობის ახალი წესით წარმოებისა და ახალი ტეხნიკის გამოყენების აუცილებელ პირობად გახდა სასოფლო სამეურნეო კოოპერაცის განვითარება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა მოქმედების სხვა-და სხვა მაშტაბით (საერთო სახელმწიფოებრივიდან — რაიონულამდე) 1895-1914 წ. მოცემულია ქვემო ცხრილში:

[illegible]	საერთო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები				გახსნილია სპეც. სასოფლო-სამ. საზოგადოებები					
	1986 წ. 1901 წ.	1902 წ. 1907 წ.	1908 წ. 1913 წ.	სულ 1914 წ.	1895	1896 წ. 1901 წ.	1902 წ. 1907 წ.	1908 წ. 1913 წ.	სულ 1914 წ.	სულ საზოგად.
[illegible]	184	1107	2701	4087	83	81	168	273	608	4629

ყველა ეს საზოგადოებანი ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის მინიშვნელოვან გაუჯობესებას, გავლენას ახდენენ ტეხნიკის გაუმჯო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და და გლეხის მეურნეობის ნაყოფიერებაზე, რომელიც გაერთიანებული იყო ამა თუ იმ სახის კოოპერაციაში; მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, გლეხობის რომელ ჯგუფს ემსახურებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია;

აი უფრო დამახასიათებელი მონაცემები ამ საკითხის ირგვლივ:

მეურნეობათა კატეგორია	ვოლოსტის მთელი მოსახლეობა		არტელის მწევრები	
	მეურნეობათა რიც.	%%-ში	მეურნეობაა რიც.	%%-ში
ნათესების არ მქონე	601	9,2	161	4,0
ძოესველნი 2 დესიატ.	1153	17,7	457	11,3
„ 2,0—3,9 დეს. . .	1503	28,1	850	21,0
„ 4,0—9,9 დეს. . .	2256	34,7	1688	41,8
„ 10,0 და მეტის . .	985	15,2	889	22,0
	6498	100	4045	100

ეს მონაცემები შეეხება ტომსკის ოლქის ბერნაუგოლსკის ვოლოსტს 1905 წელს და გვიჩვენებს, რომ კოოპერაცია მართლაც გლეხობის ფართე მასებს აერთიანებდა, მაგრამ როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, უდიდესი რიცხვი მოდის 4-10 დესიატინის მქონეებზე, შეძლებულ მეურნეობაზე რომლებიც შეადგენენ კარაქის მკეთებელ არტელების წევრთა 42%. ღარიბები რომელთაც ხშირად ერთი ძროხა ყავთ, ნათესებიც არა აქვთ, შეადგენენ არტელში გაერთიანებულ გლეხობის მხოლოდ 4%. არიგათ ღარიბების რიცხვი არტელში 10ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე შეძლებულები[1]. საშუალოთა ფენას უჭერია მათ შუა ადგილი: საშვალოები კოოპერატივში იყო სწორედ ორჯერ მცირე შეძლებულზე და ხუთჯერ მეტი ღარიბზე: უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სურათი იყო ტიპიური სხვა რაიონებისათვისაც და ადასტურებს საერთო დასკვნას, რომ რევოლიუციის წინა პერიოდის საკრედიტო კოოპერატივში გლეხობის შეძლებული ფენები უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაართი V

წვრილბურჟუაზიული პარტიების (მენშევიკების — ესერების) როლი რევოლიუციის წინა პერიოდის კოოპერაციაში.

პირველი საუბრიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ კაპიტალისტურ პირობებში ყველა სახის კოოპერაციის როლი მეტად განსაზღვრულია. კოოპერაცია იძულებულია დაემორჩილოს კაპიტალისტურ ეკონომიკის კანონებს. რუსეთის კოოპერაციის ისტორიულ მაგალითებზე ჩვენ ვგებულობთ ამ დასკვნის დამტკიცებას.

სასფლო-სამეურნეო კოოერაციის სხვა და სხვა სახეები უფრო მეტად ემსახურებოდენ გლეხობის შეძლებულ ჯგუფს. ემსახურებოდა რა ინდივიდვალურ მეურნეობებს მხოლოდ კრედიტს, გასაღებისა და მომარაგების საქმეში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი გლეხობის დაფენებას სხვა და სხვა სოციალურ ეკონომიურ ჯგუფებად, ე. ი. კაპიტალისტური ურთიერთობის უფრო წარმატებით შეჭრას სოფელში. სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც ულონოა კაპიტალიზმთან ბრძოლაში, იღებს ჩვეულებრივი სავაჭრო დაწესებულების სახეს. ასეთ სავაჭრო დუქნათ იყო სამომხმარებლო კოოპერაცია რევოლიუციის წინა რუსეთში.

რუსეთის პოლიტიკური წყობილების თავისებურება შედარებით დასავლეთთან (თვითპყრობელობის სიმკაცრე) ძალა-უნებურად ხდიდა კოოპერაციას ოპოზიციონურ ორგანიზაციად და წვრილ ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების თავშესაფარად. განსაკუთრებით 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ კოოპერაციაში მოკალათდენ მენშევიკ-ესერების წარმომადგენლები, რის შემდეგაც რუსეთის კოოპერატული მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელში ჩაუვარდა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კოოპერატიული მოძრაობის სათავეში იდგა ისეთი ხალხი, რომელიც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ პარტიებთან, მაინც რუსეთის კოოპერაცია მთლიანად ქადაგებდა დასავლეთ ევროპის კოოპერატორების პრინციპებს კოოპერატიული მოძრაობის აპოლიტიკურობისა და ნეიტრალობის შესახებ. ბოლშევიკების შეხედულება კოოპერაციაზე, როგორც ეს ავღნიშნეთ პირველ საუბარში, გავარკვევით იყო ჩამოყალიბებული ვ. ი. ლენინის რეზოლიუციის პროექტში, რომელიც მან წარმოადგინა კოპენჰაგენის სიციალისტურ კონგრესზე 1910 წელს. ბოლშევიკები მთავარ ამოცანათ სთვლიდენ თვითპყრობლობასან ბრძოლას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი პოლიტიკურ მუშაობის წარმოებას, ამიტომ ამ დროს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდენ კოოპერატიულ მოძრაობას.

კოოპერაცია რჩებოდა შემთანხმებელ პარტიების იედიურ გავლენის ქვეშ, რომლებიც წმინდათა წმინდათ აღიარებდენ პრინციპებს კოოპერატიული მოძრაობის აპოლიტიკურობისა და ნეიტრალობის შესახებ. აი, რას სწერს ძველი კოოპერაციის იდეოლოგი მერკულოვი: „რუსეთის კოოპერაციას წმინდა გულით შეეძლო ეპასუხნა, რომ ბრალდება მასზე პარტიულ მუშაობის მიმხრობის შესახებ, არის უსამართლო. მის რიგებში, მართალია, იყვენ ისეთი პირები, რომლებიც სოციალისტურ პარტიებში მუშაობენ, მაგრამ კოოპერაციას პარტიული სახე მაინც არ მიუღია, შეინარჩუნა რა კოოპერატიული მოძრაობის ძირითადი პრინციპი — პარტიული (პოლიტიკური? — ვ.მ.) ნეიტრალობა“

ასე „ეხმარებოდენ“ რუსეთის კოოპერატორები მუშათა კლასს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ შეხედულებათა წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდენ ბოლშევიკები. ისინი ამტკიცებენ, რომ კოოპერაცია შეუძლებელია დარჩეს პოლიტიკური მოძრობის გარეშე და მოითხოვდენ კოოპერაციის მიუშაობის დაკავშირებას მუშათა კალასის განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან. მენშევიკ-ესერები ამას არ იზიარებენ და იბრძოდენ ბოლშევიკების შეხედულებათა წინაღმდეგ.

დანაართი VI

კოოპერაცია იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლიუციის პერიოდში.

იმპერიალისტურმა ომმა პიირველ დღიდანვე გაამწვავა სასურსათო მდგომარეობა, რამაც თავის მხრივ გამოიწვა კოოპერატივებისა და მათში გაერთიანებულ წევრთა რიცხვის ზრდა. ომამდე სამომხმარებლო კოოპერაცია აკავშირებდა $1^1/_2$ მილიონ წევრს, ომის დროს კი ეს რიცხვი გაიზარდა 7 მილიონამდე. ამ ზრდას ხელს უწყობდა უმთავრესად სასურსათო კრიზისი, გამოწვეული ომით და ის მდგომარეობა, რომ თვითპყრობლობა შინაური და ფრონტზე გაუარესებული მდგომარეობის გამო იძულებული იყო სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად კოოპერაციაც ჩაება საკვები პროდუქტებისა და პირველ მოთხოვნილების საგნების განაწილების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში კოოპერაცია, რომელიც მენშევიკ-ესერების იდეურ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ფაქტურად თვითპყრობლობას ემსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურებოდა და არამც თუ მიიღო თავზე თვითპყრობელი მთავრობის დავალებით პროდუქტების განაწილება, არამედ აწარმოებდა დიდ მუშაობას არმიის მოსამარაგებლად, წარმოადგენდა რა იმპერიალისტური სასაკლაოს საინტენდანტოს.

ასე იცავდენ თავის პრინციპებს „აპლიტიკურობისა და ნეიტრალობის“ შესახებ ძველი კოოპერატორები თვითპყრობლობის მიმართ, მაგრამ სულ სხვა გვარი პოზიცია დაიჭირეს მათ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. კოოპერაციის წვრილ ბურჟუაზიული ბუნება უფრო გარკვევით გამომჟღავნდა თებერვლის რევოლიუციის მემდეგ. ამ პერიოდში კოოპერატიულმა „ბელადებმა“ საბოლოოდ მოიხსნეს „აპოლიტიკურობისა და ნეიტრალობის“ ნიღაბი და საზოგადოებრივ ყველა ფენებს მოუწოდებენ ყოლეგვარი დახმარება გაეწიათ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის და თვით კოოპერაცია განსაკუთრებული სიით მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების აჩევნებში.

ყველა ეს ფაკტები რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ისტორიიდან თვალსაჩინოდ ამტკიცებენ კოოპერაციის დამოკიდებულებას სოციალურ-ეკნომიური პირობებისაგან და კოოპერაციისათვის საზოგადოებრივი კლასების ბრძოლის გარეშე დადგომის შეუძლებლობას. ლაპარაკი კოოპერატიული მოძრაობის „აპოლიტიკურობისა და ნეიტრალობის“ შესახებ წარმოადგენს ფარდას, რომლითაც წვრილ ბურჟუაზიული „ბელადები“ ფარავენ მშრომელთა ინტერესების გამყიდველ პოლიტიკას.

დანართი VII

ბოლშევიკების პარტია კოოპერაციის შესახებ.*)

ძვირფასო ამხანაგებო! მიუხედავათ ახალ აღმოცენებისა, კოოპერატიული მოძრაობა მუშათა შორის წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელსაც პროლეტარიატის პარტიამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს. და როგორც ჩვეულებრივათ ხდება ყოველ ახალ საქმეში, ზოგს მისწრაფება აქვს კოოპერატიულ მოძრაობას მიაკუთვნოს მეტაი დიდი მნიშვნელობა, ზოგს წინააღმდეგ—შეაფასონ მისი როლი ძლიერ მცირედ. ერთიცა და მეორეც ძლიერ საშიშია. პირველ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება ავყვეთ ისეთ ილიუზიას, რომელიც ძლიერათ იყო გავრცელებული კოოპერატიული მოძრაობის პირველ პერ-

*) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პარტიის მიერ კაპიტალიზმის პირობებში კოოპერაციის როლის შეფასებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდში. მეორე შემთხვევაში კი—ჩვენ შეიძლება ჩამოვსცილდეთ კოოპერატიულ მოძრაობას იმ მომენტში, როცა ჩვენი მონაწილეობა მასში არის ძლიერ მნიშნელოვანი. ყოველი სოციალ დემოკრატისათვის. გასგებია, რომ კაპიტალისტურ საზოგადობაში მუშის მდგომარეობა განისაზღვრება მისი როლით, როგორც მწარმოებლის. მუშის როლი წარმოებაში განსაზღვრავს როგორც შრომისა და კაპიტალის ეხლანდელ დამოკიდებულებას, ისე მის უშუალო მიზანს მომავლისათვის. მოხმარება სამეურნეო ურთი ერთობაში წარმოადგენს საწარმოო ელემენტს, მოხმარების ორგანიზაციას აქვს ვიწრო საზღვარი, რომელიც განისაზღვრება თვით წარმოების პროცესით. აქედან გასაგებია, რომ კოოპერაციას (როცა ლაპარაკია კოოპერატივებზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოთ სამომხმარებლო ამხანაგობანი, რაც შეეხება საწარმოო ამხანაგობებს, ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ მასიურ ორგანიზაციად. საერთოდ, საწარმოო ამხანაგობები დასაშვებია მხოლოდ, როგორც სამომხმარებლო საზოგადოებების განყოფილებები, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია კი—ისინი საზიანო არიან. ამიტომ სამომხმარებლო კოოპერაციასათვის აგიტაციასთან ერად უნდა სასტიკად გამოვიდეთ საწარმოო არტელების წინააღმდეგ, რომელითაც ბევრ ადგილას გატაცებულიც არიან), ე. ი. მომხმარებელთა ორგანიზაციას თავის თავათ შეუძლია ითამაშოს მხოლოთ დამხმარე როლი. პროლეტარიატის ძალა უმთავრესად განიზომება პროფესიონალური კავშირების სიძლიერით, ამ მებრძოლი ორგანიზაცით, რომელიც ებრძვის მწარმოებლებს და არსებულ საწარმოო წყობილებას, და მისი პოლიტიკური პარტიით, რომელიც მუშებს აერთიანებს ახალი სოციალისტური საწარმოო წყობილებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ ამ ორგანიზციებთან ერთად, მათზე დაყრდნობით და კლასიური ბრძოლის ნიადაგზე მათთან საერთო მუშაობით, კოოპერატიულ მოძრაობას შეუძლია მოუტანოს მუშათა კლასს ზოგიერთი, ხან კი მნივნელოვანი სარგებლობა. ზედმეტათ გატაცება კოოპერატივებით იმით არის სახელდობრ საზიანო, რომ ის ჩრდილავს ნამდვილი ბოროტების საფუძველს და იზიდავს მუშათა მასებს მთავარი და არსებითისაგან ღამხმარე, თუმცა აუცილებელ მხარისაკენ.

ასეთია მუშათა მოძრაობის ამ სამ ფორმას შორის ურთიერთ დამოკდებულება, ეს გვაძლევს ჩვენ სახელმძღვანელო ძაფს კოოპერაციაში ჩვენი მუშაობის დროს.

შულცე-დელიჩის მიმდევართა საწინააღმდეგოთ, რომლებიც ცდილობენ კოოპერატივების საშუალებით შეარიგონ კლასიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგობა, რომლებიც აერთიანებენ ყველა მომხმარებელს, მიუხედავათ ამა თუ იმ კლასის კუთვნილებისა, სოციალისტ რევოლიუციონერებისა და სინდიკალისტების საწინააღმდეგოთ, რომლებიც კოოპერაციაში ხედავენ სოციალიზმის უშუალო გზას, ჩვენ ვიმუშავებთ კოოპერაციაში, როგორც კლასიური ბრძოლის ორგანიზაციაში, ძლიერ დაუახლოვებთ მას პროლეტარულ სხვა ორგანიზაციებს და ერთი წუთითაც არ გაუშვებთ მხედველობიდან მუშათა მოძრაობის სწორ მთლიან პერსპექტივებს. კერძოთ, ჩვენ მიუთითებთ იმაზე, რომ პროლეტარიატის აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა, კაპიტალის ორგანიზაციულობის ზრდა და მისი შეტევითი ტაქტიკა შრომაზე აყენებენ, როგორც მომენტის მნიშვნელოვან ამოცანას, მტკიცე პროფკავშირებს შექმნას. იქ, სადაც არსებობს ცოტათ თუ ბევრათ გაივითარებული პოფესიონალური მოძრაობა, ჩვენ უნდა ავიღოთ ინიციტივა თავის თავზე კოოპერატივების შექმნის საქმეში. მონაწილეობა კი კოოპერატივებში ჩვენ ყოველ შემთხვევებისათვის უნდა მივიღოთ, მუშათა შემადგენლობის ისეთ კოოპერატივებშიაც, სადაც დემოკრატიზმის პრინციპები ჯერ კიდევ გატარებული არ არის. უკანასკნელ შემთხვევაში, თავის პირველ ამოცანათ უნდა დავსახოთ ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება.

კოოპერაციის განვითარება ითხოვს აგრეთვე პირობათა მთელ რიგს. ჩვენი უახლოესი კოოპერატიული მოძრაობა გამოწვეული იყო პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასების ძლიერი ზრდით, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთში და რომელიც დღემდისაც არ შეწყვეტილა. მცირე ხელფასის დროს ჩვენი მუშების პროლეტარულ ჯიბეზე ეს გაძვირება ძლიერ მოქმედობს და ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა ადგილას მასებში ისახება იდეა კოოპერაციის შესახებ. მეორეს მხრით, კოოპერაციის განვითარებას ნიადაგს უქმნის ჩვენში სავაჭრო კაპიტალზე მოგების სიდიდე. საზღვარგარეთ ძლიერათ განვითარებული კონკურენცია და ადგილობრივი თვითმართველობა აზომიერებენ ვაჭრობის მადას, ჩვენში კი მომხმარებელი სრულიად დაუცველია სავაჭრო კაპიტალის ექსპლოატაციისაგან. რკინის გზების სუსტი განვითარება, რომლითაც ცალკე ოლქები მოწყვეტილია საგაჭრო-სამრეწველო ცენტრებისაგან, კიდევ უფრო ადიდებს მომხმარებელთა ორგანიზაციის სავაჭროებს. საერთოდ, ჩვენი ეკონომიური პირობები ისეთია, რომ კოოპერაციას უქმნის ჩვენში დიდ მომავალს. ამიტომ ჩვენ მეტი საფუძველი გვაქვს მოვკიდოთ ხელი კოოპერატივებში მუშაობას. მაგრამ პროლეტარულ კოოპერაციის ვანვითარების მნიშვნელოვან პირობათ ითვლება პოლიტიკური თავისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლების არსებობა. ამის შესახებ ჩვენ ყოველთვის უნდა უთითებდეთ მუშებს. ამ თავისუფლების უქონლობამ ეხლა არ უნდა შეაჩეროს ჩვენი მუბაობა კოოპერატივებში. ეკონომიური მდგომარეობა აიძულებს პროლეტარიატს მოაწყოს კოოპერატივები. ზოგიერთი პირობები (ეკონომიური) მათთვის არსებობს, ხოლო მეორენი კი (პოლიტიკური) არა. ამან უნდა გვაიძულოს ჩვენ, პროლეტარიატის ავანგარდი, ენერგიული მონაწილეობა მივიღოთ მოძრაობაში და გამოვიყენოთ ის მუშათა მასებისა და ორგანიზაციულობის გასაალიერებლათ, თვითმპყრობელობის სიმაგრეებზე მასიური შეტევისათვის. გავიხსენოთ, რომ იქ, სადაც პირველ რიგში სდგას ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის, ყოველი მასიური მუშათა ორგანიზაცია ადვილათ იღებს გაკვეულ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ხანგრძლივი შეუპოვარი მოღვაწეობით სოციალ-დემოკრატებმა უნდა დააკავშირონ კოოპერატივები პროფესიონალურ კავშირებთან და პარტიასთან. ეს კავშირი აუცილებელია კოოპერატიული საქმის სიახლის და მისი მასიური ხასიათისა გამო. ს-დ. უკვალოდ არ უნდა ითქვიფებოდეს ამ ორგანიზაციაში, არამედ წინაალმდეგ, შემჭიდროების გზით უზრუნველჰყოს მოქმედების მთლიანობა. ს-დ. ცხადია კოოპერატივებში უნდა აგროვებდეს პარტიისა და პროფკავშირის წევრებს; მტკიცე დემოკრატიზმის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს მასების თვითმოქმედებასა და მოძრაობის მასიურ ხასიათს (კოოპერატივებში მუშაობის ხელმძღვანელობა უნდა იყოს არა მარტო გამგეობის, არამედ დემოკატიულად შედგენილ დელეგატთა ხელშიაც); ბრძოლა მალალი პაის, პაიზე დივიდენდისა და ნავაჭრზე პრემიის=წინაალმდეგ, აგიტაცია კოოპერატივებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებისათვის, მოწოდებები პარტიისა და პროფესიონალური მოძრაობის დასახმარებლათ, დახმარება მუშებს გაფიცვებისა და სხვა გამოსვლების დროს—ასეთია ს-დ. უახლოესი ამოცანები კოოპერატივებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას მიქცეული კოოპერატივებში მომუშავეთა მდგომარეობაზე: შრომის პირობები უნდა შეეფერებოდეს პროფ. კავშირების მოთხოვნას და გამომუშავებული იყოს მათთან ერთად. საერთოდ კოოპერატივების მჭიდრო კავშირი პროფესიონალურ კავშირებთან იქნებოდა ძლიერ სასარგებლო როგორც ერთისა, ისე მეორესათვისაც. ზოგიერთ ადგილებში თვით კავშირები კიდებენ ხელს თავისი საშუალებებით კოოპერატივების გახსნას, რის შედეგადაც შეიძლება თვით პროფესიონლურ კავშირებს მოელოდეს კრახი. ვსთვლით რა ძლიერ სასურვლათ, რომ პროფ. კავშირები აკეთებდენ ყველაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კოოპერატივების დაარსებისა და ძველების გამაგრებისათვის ჩვენ ამასთან ერთად ვაფრთხილებთ პროფკავშირებს ამ საქმისათვის თავისი თანხების დახარჯვის შესახებ. პროფესიონლური კავშირების სალარო დანიშნული უნდა იყვეს საბრძოლო მიზნებისათვის, კოოპერატივების სალარო კი უნდა შეიქნეს იმ შენატანებისაგან, რომელიც შეაქვთ პროფკავშირების ცალკე წევრებს და კოოპერატივის დანარჩენ წევრებს, ამასთან ერთად კოოპერატივი უნდა აერთიანებდეს არა მარტო ერთი პროფესიის წევრებს.

კოოპერატივი პროლეტარულ ორგანიზაციად უნდა იყოს არა მარტო თავისი მოქმედების ხასიათით, არამედ შემადგენლობითაც. ეს არ ნიშნავს, რომ ის მარტო მუშებისაგან შესდგებოდეს. მხოლოთ აუცილებელია, რომ კოოპერატივების საერთო ხასიათი, მისი უმთავრესი მასები იყოს პროლეტარული. „ერთი პაი—ერთი წევრის“ პირობისა და მუშათა საკმარისი თვითმოქმედების დროს შესაძლებელია კოოპერატივებში არა პროლეტარული ელემენტების მონაწილეობა. არაა საჭირო არც კოოპერატივის წევრად, არც გამგეობაში დაუშვათ ის პირები, რომელიც ქარხნის ადმინისტრაციას შეადგენს, რომლისაგანაც უშუალოდ არიან მუშები დამოკიდებულნი—და რომელთაც შეუძლიათ მოახდინონ არა სასურველი გავლენა.

კოოპერატივი უნდა იყოს პროლეტარულ თვითმოქმედების სკოლად. ეს უნდა ჩანდეს არა მარტო კოოპერატივის მართველობის სრულ ანგარიშთგებაში, არამედ კოოპერატივისათვის ფულადი საშუალებების მოპოების მეთოდებშიაც. უმჯობესია კოოპერატივი განვითარდეს ნელა, მაგრამ, არ გადასდგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც თავიდანვე დააიმედებს მუშებს სხვის დახმარებაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ ვაფრთხილებთ ამხანაგებს მწარმოებლებისაგან ავანსების ან შეწირულების მოლებაში, რომელიც დაკავშირებულია სხვა და სხვა ვალდებულებებთან.

ეხლაც არის ცდები კოოპერატიულ საქმის ცენტრალიზაციის, კერძოთ, უახლოესი დროისათვის მზადდება სრულიად რუსეთის კოოპერატიულ საზოგადოებათა ყრილობა. უნდა ხელი შეუწყოთ ამ ცენტრალიზაციას და მივიღოთ მასში მნიშვნელოვანი მონაწილეობა. სოციალ-დემოკრატებმა წინასწარ უნდა განიხილონ ყრილობის მიერ განსახილველი საკითხები და გამოვიდენ შემჭიდროებულ ჯგუფად. მაგრამ ღებულობენ რა ენერგიულ მონაწილეობას კოოპერატიულ მოძრაობაში, ს.-დ. ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ იმ დიდი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მათ აწევს, როგორც ერთადერთ საიმედო ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით იქ, სადაც ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ამავე დროს მთელი საქმის ინიციატორიც. ასეთ შემთხვევებში ყოველი შეცდომა არამც თუ გამოიწვევს ამა თუ იმ მუშათა ორგანიზაციის კრახს, რომელიც თავისთავათ მეტად მნიშვნელოვანია, არამედ გამოიწვევს მასებში უკმაყოფილობას სოც—დემოკრატიის წინააღმდეგ, თითქოს ისინი იყვენ დამნაშავენი ამ კრახში. აი ამიტომ კოოპ-მოძრაობის სწორი განვითარების აუცილებელი პირობების გარკვევა (პოლიტიკური თავისუფლება, მუშათა მოძრაობის სხვა ფორმების განვითარება, ცოტათ თუ ბევრათ საკმარისი სამუშაო ხელფასი, მასების განვითარების მაღალი დონე), აგრეთვე მოქმედებაში ძლიერ სიფრთხილეს უკარნახებთ ჩვენ დაჟინებით. როდესაც უდგებით კოოპერატივის დაარსებას, უნდა წინასწარ მოვამზადოთ ნიადაგი მუშებს შორის, შევაგროვოთ საკმარისი საშუალებები, მოვსძებნოთ შესაფერი ხელმძღვანელები და სხ.

ჩქარი ზრდა ხშირად ავადმყოფური და საბედისწერო ხდება. მხოლოდ ნელი მუშაობის გზით ჩვენ შეგვიძლია დავაგროვოთ გამოცდილება, რომელიც ეხლა არა გვაქვს. სოც-დემოკრატების მუშაობა კოოპერატივებში არამც თუ მტკიცე ნიადაგზე დააყენებს ამ უკანასკნელს, არამედ თვით ს—დემოკრატიის განვითარებაზე მოახდენს გავლენას. შეაკავშირებს რა პროლეტარული ფენების ჩამორჩენილ ნაწილს, კოოპერატივები აბამენ მათ საერთო პროლეტარულ ინტერესების წრეში, ანვითარებს მათში თვითმოქმედებისა და სოლიდარობის იდეას.

რ.ს.დ.მ.პ. ცენტრალური კომიტეტი.

(გაზ. „პროლეტარი“ № 26
(1 აპრილი) 19 მარტი 1908 წ.)

დანართი VIII

ბურჟუაზიული მატყუარობა [1])

ყველა მესაკუთრენი, მთელი ბურჟუაზია ცდილობს თავისი მხარეზე გადაიბიროს საშვალო გლეხი იმით, რომ პირდება მეურნეობის გაუმჯობესებისთვის ოვლგვარ ზომებს (იაფი გუთნები, სასოფლო ბანკები, ბალახის თესვის შემოღება, იაფი მუშა საქონლისა და სასუქ-

1) ამონაწერი ამხ. ლენინის ბროშურიდან: „სოფლის ღარიბებს“, ის ახასიათებს გლეხობის მდგომარეობას 1905 რევოლიუციის წინ და პოპულიარულად გადმოგვცემს ლენინისა და ბოლშევიკების პარტიის შეხედულებებს კაპიტალიზმის დროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

(ვ. ი. ლენინი. თხზულებათა კრებ. ტ. IX).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მიყიდვა და სხვა), აგრეთვე იმით, რომ გლეხს ხდის ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო კავშირების მონაწილეთ (კოპერაციის, როგორც მას წიგნებში უწოდებენ); ამ გზით ცდილობს ბურჟუაზია ჩამოაცალოს საშვალო გლეხი მუშებთან კავშირს, აგრეთვე თვით წერილი გლეხებიც, ნეხევრათ პროლეტარები, დაუყენოს ისინი მდიდრებისა და ბურჟუაზიის მხარეზე მუშებისა და პროლეტარების ბრძოლის დროს. სოციალ—დემოკრატი მუშები ამაზე უპასუხებენ: მეურნეობის გაუმჯობესება კარგი საქმეა, არაფერი ცუდი არ არის იშაში, რომ იაფიად ყიდულობდე გუთანს; ეხლა ყველა სულელი ვაჭარი ცდილობს, რაც შეიძლება იაფად გაყიდოს, რომ მყიდველები მიიზიდოს. მაგრამ როდესაც ღარიბ და საშვალო გლეხებს ეუბნებიან, რომ მეურნეობის გაუმჯობესება და გუთნების გაიაფება დაეხმარება გაჭირვებისაგან გამოსასვლელათ ფეხზე დასადგომათ მდიდრების ხელშეუხლებლადო,—ეს კი მატყუარობაა. ყველა ამ გაუმჯობესებათა, გაიაფების და კოოპერაციისაგან (კავშირი საქონლის ყიდვა—გაყიდვისათვის) უფრო მეტად მდიდრები სარგებლობენ; მდიდრები უფრო ძლიერდებიან, მეტად ავიწროებენ საშვალო და ღარიბ გლეხებს. სანამ მდიდრები მდიდრებად რჩებიან, სანამ მათ ხელში არის მიწების დიდი ნაწილი, საქონელი, ფული, იარაღები, მანამდე არამც თუ ღარიბები, არამედ საშუალო გლეხებიც გაჭირვებიდან ვერ გამოვლენ. თითო—ოროლა საშუალო გლეხები ამ გაუმჯობესებათა და კოოპერაციის საშუალებით შესძლებენ მდიდრებში გადასვლას, მაგრამ მთელი ხალხი, ყველა საშვალო გლეხები კი უფრო დიდ გაჭირვებაში ჩავარდებიან. რომ ყველა საშუალო გლეხებმა შესძლონ მდიდრათ გახდომა, ამისათვის საჭიროა მდიდრების მოცილება; მათი მოცილება კი შეიძლება მხოლოდ ქალაქის მუშებისა და სოფლის ღარიბების კავშირით.

ბურჟუაზია ეუბნება საშუალო (აგრეთვე ღარიბ) გლეხს: ჩვენ მოგყიდით იაფათ მიწას, გუთანს. შენ კი მოგვეცი შენი სული, ამისათვის შენ უარი სთქვი მდიდრების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

სოციალ—დემოკრატი მუშა ამბობს: თუ მართლა იაფად ყიდიან, თუ ფული არის, რატომ არ ვიყიდით, ვაჭრობის საქმეა, მხოლოდ თავისი სულის გაყიდვა კი არასოდეს არ ვარგა. უარი ვსთქვათ ქალაქის მუშებთან ერთად ბურჟუაზიისთან ბრძოლაზე, ეს ნიშნავს სიღარიბესა და გაჭირვებაში დარჩენას. საქონლის გაიაფებისაგან მდიდარი კიდევ უფრო მოიგებს, კიდევ უფრო მდიდრდება.

ვისაც კი ეს ფულები ქარხანაში არ აქვს, იმას არავითარი სიიაფე არ უშველის, სანამ ამ ფულებს ბურჟუაზიას არ წაართმევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიღოთ მაგალითი. ბურჟუაზიის მომხრეები ებღაუჭებიან ყოველგვარ კოოპერაციას (იაფი შესყიდვისა და სასარგებლო გაყიდვის კავშირი). არიან აგრეთვე ადამიანები, რომლებიც თავის თავს „სოციალ—რევოლიუციონერებს“ უწოდებენ და კიდევაც გაჰკივიან ბურჟუაზიის გვერდით, რომ ყველაზე უფრო საჭიროა გლეხისათვის — კოოპერაციაო. ჩვენში, რუსეთშიაც, შემოიღეს ასეთი კოოპერატივები, მაგრამ ჩვენთან ის ჯერ მცირეა და მანამ იქნება მცირე, სანამ არ იქნება პოლიტიკური თავისუფლება. აი გერმანიაში არის გლეხებს შორის ბევრი ყოველგვარი კოოპერატივები. და ნახეთ, ვის უფრო ემსახურებიან ეს კოოპერატივები- მთელ გერმანიაში 140 ათასი სოფლის მეურნე მონაწილეობს რძისა და რძის ნაწარმის გამსაღებელ ამხანაგობებში, და ამ 140 ათასი მეურნეს (სიმარტივისთვის ვიღებთ მრგვალ რიცხვებს) 1-110 ძროხა ყავს. ღარიბი გლეხებს სთვლიან მთელ გერმანიაში 4 მილიონს. ამათგან მხოლოდ 40 ათასი მონაწილეობს ამხანაგობებში: ეს ნიშნავს, რომ ყოველ ასეულ ღარიბი გლეხობიდან მხოლოდ ერთი სარგებლობს იმ კოოპერატივებით. ამ 40 ათასს ღარიბს მხოლოდ 100 ათასი ძროხა ყავს. შემდეგ—საშუალო მეურნენი—1 მილიონი. ამათგან 5 ათასი მონაწილეობს კოოპერაციაში (მაშასადამე, 5 კაცი ასიდან), და ძროხები ყაყთ 200 ათასი და ზოლოს, მდიდარი მეურნენი (ე. ი. მემამულეები და გლეხები ერთად) —მილიონის მესამედი. ამათგან კოოპერაციაში მონაწილეობს 50 ათასი (მაშასადამე, 17 კაცი ყოველ ასიდან) და მათ ყავთ 800-ათასი ჭროხა. აი, ვის ეხმარება ყველაზე უწინ და უფრო მეტად კოოპერაცია. აი ასე ათამაშებენ გლეხს ის ადამიანები, რომლებიც გაჰკივიან საშვალო გლეხის გადარჩენაზე იაფი შესყიდვისა და ხელსაყრელ გასაღების კავშირებით. ძალიან იაფად უნდა ბურჟუაზიას „გამოისყიდოს“ გლეხი სოციალ—დემოკრატებისაგან, რომელიც როგორც ღარიბებს, ისე საშუალოებს ეწევიან თავის მხარეზე. ჩვენშიაც შემოიღეს ყველის მხარშავი არტელები. ჩვენც გვყვანან ბევრი ისეთი ადამიანები, რომლებიც გაიძახიან: არტელები, ამხანაგობები, აი რა უნდა გლეხს. და შევხედოთ, ეს არტელები, ამხანაგობები ვის ეხმარებიან. ჩვენში ყოველ ას მეურნეობაზე $^2/_3$-ს სრულებით არ ყავთ ძროხები. $^3/_4$-ს ყავს თითო ძროხა. ესენი ყიდიან რძეს მწარე გაჭირვებისა გამო, ბავშვები ურძეოთ რჩებათ და იხოცებიან, როგორც მწერები. მდიდარ გლეხებს კი ყავთ ?, 4 ძროხა და მეტი, მდიდარი გლეხების ხელშია გლეხური ძროხებას ნახევარი. ვის ეხმარებიან ეს ყველის მხარშავი არტელები? ნათელია, უპირველეს ყოვლისა მემამულეებსა და გლეხურ ბურჟუაზიას. ნათელია, მათთვის სასარგებლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოა, რომ საშვალო და ღარიბი გლეხობა გაჰყვეს მათ, რომ გაჭირვებ-
ისაგან დამხსნელად ჩასთვალონ არა ბურჟუაზაასთან ბრძოლა, არა-
მედ ერთეულ მეურნეთა ცდა თავი დააღწიოს თავისი მდგომარეობას
და გადავიდეს მდიდართა ჯგუფში. ამ მისწრაფებას მხარს უჭერენ
და აქეზებენ ბურჟუაზიის ყველა მომხრენი, გამოდიან რა წვრილი
გლეხობის მეგობრად.

გასაგებია, ბურჟუაზიისათვის მხოდოდ ისაა საჭირო, რომ რაც
შეიძლება საშვალო და წვრილი გლეხობის მეტი ნაწილი გაჰყვეს
მდიდრებს, რომ მათ ქონდეთ რწმენა, ოომ ბურჟუაზიასთან ბრძო-
ლის გარეშე დააღწიონ თავი გაჭირვებას, რომ ისინი ემყარებოდენ
თავისი ერთგულების, თავისი გამდიდრებას და არა ქალაქისა და
სოფლის მუშების კავშირს. ბურჟუაზია ყოველნაირად ცდილობს გა-
ამაგროს გლეხობაში ეს მატყუარული რწმენა და იმედი, ცდილობს
გააბრუოს ის ყოველგვარი ტკბილი სიტყვებით.

რომ გამომჟღავნდეს ამ ხალხის მატყუარობა. საკმარისია მიე-
ცეთ მათ სამი შეხითხვა:

პირველი კითხვა. შეუძლია თუ არა მუშა ხალხს განთავისუფლ-
დეს გაჭირვებისა და სიღარიბისაგან, როცა რუსეთში 240 მილიონი
დესეტინა სავარგისი მიწიდან 100 მილიონი ეკუთვნის კერძო მიწა-
დმფლობელთ? როცა 16 ათას მსხვილი მიწადმფლობელის ხელში მოქ-
ცეულია 65 მილიონი დესიატინა?

მეორე კითხვა. შეუძლია თუ არა მუშა ხალხს თავი დააღწიოს
გაჭირვებასა და სიღარიბეს, როცა $1^1/_2$ მილიონი მდიდარი გლეხებს
(10 მილიონიდან) ხელში უჭირავს მთელი გლეხური ნათესების ნახე-
ვარი, მთელი გლეხური ცხენები, მთელი მუშა საქონელი, მთელი
გლეხური მარაგის და ფულადი დაგროვების ნახევარზე მეტი? როცა
ეს გლეხური ბურჟუაზია დღითი დღე მდიდრდება, ავიწროებს საშ-
ვალო და ღარიბ გლეხებს, საგებლობს რა დღიური მუშებისა და
მოჯამაგირეთა შრომით? როცა გლეხურ მეურნეობის $6^1/_2$ მილიონი
გალატაკებულია, მუდამ მშიერი, ლუკმა პურისათვის ყოველგვარი
სამუშაოს შემსრულებელი?

მესამე კითხვა. შეუძლია თუ არა მუშა ხალხს თავი დააღწიოს
გაჭირვებასა და სიღარიბეს, როცა მთავარ ძალათ გახდა ფული,
როცა ფულით ყველაფერი შეიძინება: ფაბრიკა, მიწა, თვითონ ადა-
მიანებიც კი დაქირავეუბულ მუშებათ, დაქირავებულ მონებად? რო-
ცა უფულოდ არც ცხოვრება, არც მეურნეობის გაძღოლა შეიძლება?
როცა წვრილი მეურნე, ღარიბი, იძულებულია აწარმოოს ბრძოლა
მდიდარ მეურნესთან ფულის მოპოებისათვის? როცა რამდენიმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განაკვეთი III

კოოპერაცია იმპერიალიზმის პირობებში

განაკვეთის მიზანი

1) გამოირკვეს კაპიტალიზმის თანამედროვე პერიოდის ბუნება

2) გამოირკვეს, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების კანონები განსაზღვრულ მიჯნას უდებენ კოოპერაციის განვითარებას.

3) გამოაშკარავებულ იქნას კოოპერაციის სოციალ-რეფორმისტული და სოციალ-ფაშისტური „ბელადების" გამყიდველი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს კოოპერაციის გარდაქცევას ბურჟუაზიული ბატონობის იარაღად.

4) გაირკვეს კოოპერატიული პოლიტიკის პროლეტარიატის კლასიურ ამოცანებისადმი დაქვემდებარების აუცილებლობა.

მუშაობის გეგმა		დანართი
1) იმპერიალიზმის ბუნება	დანართი	I
2) კაპიტალიზმი ომის შემდეგ და კაპიტალიზმის საერთაშორისო კრიზისი	„	II
3) ომის შემდგომი კაპიტალიზმის განვითარების სამი პერიოდი	„	III
4) თანამედროვე მსოფლიო ეკონომიური კრიზისი	„	IV
5) სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში	„	V
6) სოციალ-ფაშისტების კოოპერატიულ „ბელადების" კოოპერატ. პოლიტიკა	„	VI

მეთოდიური შენიშვნები

ამ განაკვეთის დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებას. მე-XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი შევიდა თავის განვითარების ახალ ფაზაში, იმპერიალიზმის ფაზაში. კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგად ხდება გიგანტურ კაპიტალისტური მონოპოლიების გაბატონება; მონოპოლია, არ უარყოფს რა თავისუფალ კონკურენციას და არსებობს რა მასთან პარალელურად, იწვევს ძლიერი კაპიტალისტური კავშირების არნახულ კონკურენტიული ბრძოლის გამწვავებულ ფორმას გასაღების ბაზრისა, ნედლეულის წყაროებისა და მსოფლიოს გადანაწილებისათვის. მონოპოლიებმა არაჩვეულებრივად გაძლიერეს კოლონიალური ქვეყნების მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ექსპლოატაცია, უკიდურესობამდე გაამწვავეს ყველა წინააღმდეგობანი და კაპიტალისტური მეურნეობის ანარქია.

იმპერიალიზმის წინააღმდეგობით გამოწვეულმა ომმა 1914—18 წ. წ. ეს წინააღმდეგობანი აიყვანა განვითარების მაღალ საფეხურზე და საფძველი დაუდვა მთელი კაპიტალისტური სისტემის საერთაშორისო კრიზისს.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც 1929 წლის ბოლოს დაიწყო და თანდათან ღრმავდება, წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალიზმის კრიზისის გამახვილებულ სახეს და ძლიერად ურტყამს მსოფლიო კაპიტალიზმს. კაპიტალიზმის თანამედროვე ეტაპის თავისებურებათა შესწავლა აუცილებელია კოოპერაციის ნამდვილი როლის სწორად გასარკვევად ამ პირობებში და კოოპერატიული პოლიტიკის სწორად დასახვისათვის კაპიტალზე სრულ გამარჯვების ინტერესებისათვის.

განაკვეთის დამუშავების დროს ამ სამუშაოს მასალის დამატებით ისარგებლეთ მიმდინარე მასალებით გაზეთებიდან მსოფლიო კრიზისის საკითხებისა და კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. ამხანაგებს, რომელთაც სურთ საფუძვლიანად დაამუშავონ იმპერიალიზმის საკითხები, ურჩევთ შეისწავლონ ლენინის წიგნი: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლოესი ეტაპი“.

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1) რა მიზეზებმა გამოიწვიეს კოოპერაციის ჩასახვა?

2) რატომ ჩაისახა ყველაზე უფრო ადრე სამომხმარებლო კოოპერაცია ინგლისში?

3) რა პირობებმა უზრუნველყვეს სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარება?

4) რა მიზეზებმა გამოიწვიეს გლეხური კოოპერაციის ჩასახვა?

5) რაში მდგომარეობს წვრილბურჟუაზიული და სოციალ რეფორმისტ კოოპერატორების შეცდომები და მავნებლობა კოოპერაციის მოძღვრების შესახებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) რას ამბობს ვ. ი. ლენინი კოოპერაციის როლის შესახებ კაპიტალისმის დროს?

7) რა ცვლილებები მოხდა კაპიტალიზმის განვითარებაში?

8) რაში მდგომარეობს იმპერიალიზმის ბუნება?

9) რა პირობები შეიქმნა კოოპერაციის განვითარებისათვის იმპერიალიზმის პერიოდში?

10) როგორი უნდა იყოს კოოპერაციის პოლიტიკა კაპიტალიზმის საერთაშორისო კრიზისის პირობებში?

11) როგორია კომპარტიის, რევოლიუციონური პროფკავშირების და კოოპერატული ოპოზიციის როლი?

სამუშაო მასალა III განაკვეთისათვის

დანართი I

იმპერიალიზმის არსება

აუცილებელი რომ იყოს იმპერიალიზმის ფრიად მოკლე განმარტება, ჩვენ ვიტყოდით, რომ იმპერიალიზმი — კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადიაა, ეს განმარტება შეიცავს ყველაფერს იმას, რაც უმთავრესია, ვინაიდან ერთის მხრით საფინანსო კაპიტალი არის რამდენისამე მონოპოლისტურ მსხვილ ბანკის კაპიტალი, შეერთებული მრეწველთა მონოპოლისტურ კავშირების კაპიტალთან; მეორეს მხრით, მსოფლიოს განაწილება არის გადასვლა იმ კოლონიალურ პოლიტიკიდან, რომელსაც მიზნათ ქონდა დატაცება იმ მიწებისა, ჯერ არც ერთი სახელმწიფოს რომ არ ქონდა ჩაგდებული ხელთ, — იმ კოლონიალურ პილიტიკაზე, რომელსაც ახასიათებს მსოფლიოს უკვე საბოლაოდ განაწილებულ ტერიტორიათა მონოპოლურად ხელში ჩაჭერისადმი მისწრაფება. მაგრამ ფრიად მოკლე განმარტებანიც არ ვარგა, თუმცა იგი ხერხიანია და უმთავრეს მოვლენებსაც ხაზი გაესმება ხოლმე. იგი საკმარისი არაა იმდენად, რამდენათაც მისგან საჭიროა გამოვაცალკეოთ ფრიად არსებითი თვისებანი იმ მოვლენისა, რომელსაც განვმარტავთ. ყველა განმარტებას საზოგადოთ პირობითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ვერასოდეა ვერ დაიტევს მოვლენისა და მის განვითარების ყოველ მხარეს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საჭიროა ისეთი განმარტება იმპერიალიზმისა, რომელიც აუცილებლათ უნდა შეიცავდეს შემდეგ ხუთ მის ძირითად ნიშანს:

1) კონცენტრაცია წარმოების და კაპიტალისა, აწეული განვითარების ისეთ უმაღლეს წერტილზე, რომ იგი ქმნის იმგვარ მონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიებს, რომლებიც სამეურნეო ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. 2) საბანკო კაპიტალის შედუღება სამრეწველოსთან და შექმნა ამ ნიადაგზე —„საფინანსო კაპიტალისა", ფინანსიური ოლიგარხიის, 3) კაპიტალის გატანა, წინააღმდეგ საქონლის გატანისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. 4) არსდებიან კაპიტალთა საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც ქვეყნიერებას იყოფენ. 5) მოთავებულია დედამიწის ტერიტორიალური განაწილება ურთიერთ შორის უმსხვილეს კაპიტალისტური სახელმწიფოთა მიერ. იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის ის სტადია, როდესაც უკვე არსებობს მონოპოლიათა და საფინანსო კაპიტალის ბატონობა, როდესაც კაპიტალის გატანას უკვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც დაწყებულია ქვეყნიერების განაწილება საერთაშორისო ტრესტების მიერ და უკვე მოთავსებულია დედა-მიწის მთელი ტერიტორიის განაწილება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის.

(ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი, თავი VII).

იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განსაკუთრებული ისტორიული სტადია. მისი თავისებურება სამ გვარია: იმპერიალიზმი არის (1) მონოპოლისტური კაპიტალიზმი, (2) პარაზიტული ან ლპობის პროცესში მყოფი კაპიტალიზმი. (3) მომაკვდავი კაპიტალიზმი. თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით არის ძირითადი ეკონომიური ნიშანი, არსება იმპერიალიზმისა. მონოპოლიზმი ცნაურდება 5 მთავარ სახეში: 1) კარტელები, ტრესტები და სინდიკატები. წარმოების კონცენტრაციამ მიაღწია იმ საფეხურს, რომ წარმოშვა კაპიტალიზმების მონოპოლისტური კავშირები. 2) მსხვილი ბანკების მონოპოლიური მდგომარეობა: 3-5 გიგანტიური ბანკი ატრიალებს ამერიკის, საფრანგეთის და გერმანიის მთელ ეკონომიურ ცხოვრებას- 3) ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდება ტრესტებისა და ფინანსიური ოლიგარხიის მიერ (ფინანსიური კაპიტალი არის მონოპოლისტური სამრეწველო კაპიტალი, საბანკო კაპიტალთან შეერთებული). 4) მსოფლიოს დანაწილება (ეკონომიური) საერთაშორისო კარტელებს შორის დაიწყო. ასეთი საერთაშორისო კარტელების რიცხვი, რომელთა ხელში იყო მსოფლიო ბაზრები და რომლებიც „მამობრულად" ინაწილებდენ მას, სანამ ომმა არ მოახდინა მისი ხელახალი გადანაწილება, იყო ასამდე! კაპიტალების გაზიდვა, როგორც განსაკუთრებული დამახასიათებელი მოვლენა წინააღმდეგ საქონლის გაზიდვისა. არა მონოპოლისტურ კაპიტალიზმის დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოს სდგას მსოფლიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ტერიტორიალურ დანაწილებასთან. 5) მსოფლიოს ტერიტორიალური დანაწილება დასრულდა (კოლონიების). იმპერიალიზმი, როგორც ამერიკის, ევროპისა და შემდეგ აზიის კაპიტალიზმის მაღალი სტადია, ჩამოყალიბდა საუკუნეთ 1898-1914 წ. წ; ესპანეთ-ამერიკის (1898) ინგლის-ბურების (1900-1902) რუსეთ-იაპონიას (1904-1905) წ. ომები და ევროპის ეკონომიური კრიზისი 1900 წ.-აი მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის ისტორიული მწვერვალები. რომ იმპერიალიზმი არის პარაზიტული ან ლპობის გზაზე დამდგარი კაპიტალიზმი, ეს ყველაზე უფრო მოსჩანს ლპობის ტენდენციაში, რომელიც ახასიათებს ყოველგვარ მონოპოლიას — საწარმოო საშვალებებზე კერძო საკუთრების დროს. რესპუბლიკანურ — დემოკრატიულ და მონარქიულ რეაქციონულ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას შორის განსხვავება იჩრდილება სწორედ იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც ლპება ცოცხლად, რაც ოდნავადაც არ ნიშნავს კაპიტალიზმის ჩქარ განვითარების უარყოფას მრეწველობის ცალკე დარგებისა, ცალკე ქვეყნებში და ცალკე პედიოდში.

მეორეს მხრით, კაპიტალიზმის ლპობა განსაკუთრებით მოსჩანს რანტიეთა დიდი ფენის შექმნაში, კაპიტილისტების, რომლებიც „კუპონების მოჭრით“ ცხოვრობენ. ოთხ მოწინავე იმპერიალისტურ სახელმწიფოში — ინგლისში, ჩრდილო — ამერიკასა, საფრანგეთსა და გერმანიაში ფასიან ქაღალდებში მოთავსებული კაპიტალი შეადგენს 100 — 150 მილიარდ ფრანკს, რაც იძლევა ყოველწლიურად 5-8 მილიარდ შემოსავალს. მესამედ — კაპიტალის გაზიდვა არის პარაზიტიზმი კვადრატში. მეოთხედ, „ფინანსიური კაპიტალი მიისწრაფვის ბატონობისაკენ და არა თავისუფლებისაკენ.“ პოლიტიკური რეაქცია ყოველ ხაზზე — იმპერიალიზმის დამახასიათებელია.

მეხუთედ, დაჩარგულ ერების ექსპლოატაცია, დაკავშირებული ანექსიებთან და განსაკუთრებით კოლონიების ექსპლოატაცია ერთი მუჭა „დიდ“ სახელმწიფოების მიერ თანდათან აქცევს „განანათლებულ“ მსოფლიოს პარაზიტად ასეულ მილიარდ ხალხის სხეულზე. რომის პროლეტარიატი ცხოვრობდა საზოგადოების ხარჯზე. თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს თანამედროვე პროლეტარიატის ხარჯზე. სისმონდის ამ ღრმა შენიშვნას მარქსი განსაკუთრებით აღნიშნავდა. იმპერიალიზმი ცოტათი სცვლის საქმეს. იმპერიალისტური სახელმწიფოების პროლეტარიატის პირველგიური ფენა ნაწილობრივ ცხოვრობს ასეულ მილიონ გაუნათლებელ ხალხების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებია, რატომაა იმპერიალიზმი მომაკვდავი კაპიტალიზმი. მონოპოლია, რომელიც კაპიტალიზმიდან გამოდის, არის უკვე კაპიტალიზმის სიკვდილი, მისი სოციალიზმზე გადასვლის დასაწყისი. იმპერიალიზმის მიერ შრომის გიგანტიური განსაზოგადოებრივობა (ის, რასაც ბურჟუაზიული ეკონომისტები „გადახლართვას" უწოდებენ) მასვე ნიშნავს.

(ლენინი, ტომი XIII გვ. 468-470)

დანაართი II

ომის შემდგომი კაპიტალიზმი და მისი საერთაშორისო კრიზისი

მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის იმპერიალისტურმა ბრძოლამ მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის მოგვიყვანა პირველი საერთაშორისო იმპერიალისტურ ომამდე (1914-1918 წ). ამ ომმა შეარყია მსოფლიო კაპიტალიზმის მთელი სისტემა და საფუძველი დაუდვა მის საერთო კრიზისის პერიოდს. მან თავის სამსახურში მოაქცია მებრძოლი სახელმწიფოების სახალხო მეურნეობა, ძლიერ გაადიდა არა საწარმო ხარჯები, შთანთქა საწარმოო საშვალებათა და ცოცხალი მუშა ძალის დიდი რაოდენობა, გაანადგურა მოსახლეობის ფართე მასები, მძიმე ტვირთი დაადო ინდუსტრიალურ მუშებს, გლეხებსა და კონოლიარულ ხალხებს. მან აუცილებლათ გაამწვავა კლასიური ბრძოლა, რომელიც გარდაიქცა მასების აშკარა რევოლიუციონურ გამოსვლებად და სამოქალაქო ომად. იმპერიალისტური ფრონტი გაირღვა მის ყველაზე უფრო სუსტ რგოლში, მეფის რუსეთში. 1917წლის რევოლიუციამ დაამხო მხვილი მემამულეთა თვითპყრობლობა; ოქტომბრის რევოლიუციამ კი დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა. ამ ძლევა მოსილმა პროლეტარულმა რევოლიუციამ მოახდინა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, წაართვა ბურჟუაზიასა და მემამულეებს საწარმოო საშვალებანი, პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეიქმნა და განამტკიცა პროლეტარიატის დიკტატურა დიდ ქვეყანაში, შთანერგა ცხოვრებაში ახალი, სახელმწიფოს ტიპი და საფუძველი დაუდვა პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციას. მსოფლიო კაპიტალიზმის ძლიერი შერყევის საფუძველზე,კლასიური ბრძოლის გამწვავებისა და ოქტომბრის რევოლიუციის უშვალო გავლენით მოდა მთელი რიგი რევოლიუციებისა და რევოლიუციონური გამოსვლებისა როგორც ევროპის კონტინეტზე, ისე კოლონიალურ და ნახევარ კოლონიალურ ქვეყნებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წ. იანვარში—მუშათა რევოლიუცია ფინეთში; 1618 წ. აგვისტოში —ე. წ. „ბრინჯის ჯანყი“ იაპონიაში. 1918 წ. ნოემბერში— რევოლიუცია ავსტრიასა და გერმანიაში, რომელმაც დაამხო ნახევრად ფეოდალური მონარქიის ბატონობა. 1919 წ. მარტში—პროლეტარული რევოლიუცია ჰუნგრეთში და აჯანყება კორეიაში. 1920 წ. იანვარში —ბურჟუაზიულ—ნაციონალური რევოლიუცია ოსმალეთში; 1920 წ. სექტემბერში—მუშების მიერ ფაბრიკების დაჭერა იტალიაში 1921 წ. მარტში მოწინავე მუშათა აჯანყება გერმანიაში. 1923 წ. სექტემბერში აჯანყება ბულგარეთში. 1923 წ. შემოდგომაზე — რევოლიუციონური კრიზისი გერმანიაში; 1924 წ. დეკემბერში აჯანყება ესტონეთში. 1925 წ. აპრილში—აჯანყება მოროკოში, აგვისტოში—სირიაში. 1926 წ. მაისში—საყოველთაო გაფიცვა ინგლისში 1927 წ. ივლისში—ვენის მუშების აჯანყება. ყველა ეს ფაქტები და ბოლოს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა აჯანყება ინდონეზიაში, ძლიერი შერყევა ინდოეთში, ჩინეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც შეარყია მთელი აზიის კონტინენტი, წაროადგენს საერთაშორისო რევოლიუციონური ჯაჭვის რგოლს, საართაშორისო კაპიტალიზმის ღრმა კრიზისის შემადგენელ ნაწილს. ეს საერთაშორისო რევოლიუციონური პროცესი იწვევს პროლეტარიატის დიქტატურისათვის უშუალო ბრძოლას, ნაცონალურ განმათავისუფლებელ ომებს და კოლონიალურ აჯანყებებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია მილიონიანი გლეხური მასების აგრარულ მოძრაობასთან. კაცობრიობის დიდი მასები, ამრიგად აღმოჩნდენ ჩამბული რევოლიუციონურ ბრძოლაში.

მსოფლიო ისტორია შევიდა თავის განვითარების ახალ ფაზაში, კიპიტალისტური სისტემის კრიზისის ხანგრძლივ ფაზაში; ამასთან ერთად, მსოფლიო მეურნეობის მთლიანობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა რევოლიუციის საერთაშორისო ხასიათში, ხოლო მისი ცალკე ნაწილების არა თანაბარზომისობამ კი ცალკე ქვეყნებში სხვა და სხვა დროის რევოლიუციებში.

რევოლიუციონურ გადატრიალებათა პირველი ცდები, რომელიც აღმოცენდა კაპიტალიზმის მწვავე კრიზისის საფუძველზე (1918—1921 წ. წ.) დასრულდა ს.ს.რ.კ.-ში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებითა და განმტკიცებით—და პროლეტარიატის დამარცხებით მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ეს დამარცხებები პირველ რიგში არის სოციალ-დემოკრატ ბელადებისა და პროფ. მოძრაობის რეფორმისტული ლიდერების გამყიდველი ტაქტიკის შედეგი, აგრეთვე იმ მდგომარეობის შედეგად, რომ კომუნისტებს ჯერ კიდევ არ უჭერენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარს მუშათა კლასის უმრავლესობა და მთელ რიგ ქვეყნებში კი არც არსებობდა კომუნისტური პარტიები. ამ დამარცხებათა საფუძველზე, რომელმაც შექმნა პროლეტარული მასებისა და კოლონიალური ხალხების ექსპლოატაციის გაძლიერების შესაძლებლობა, მათი საარსებო დონის ძლიერი დაცემის საფუძველზე ბურჟუაზიამ მიაღწია კაპიტალისტური ურთიერთობის ნაწილობრივ სტაბილიზაციას.

(კომინტერნის პროგრამა და წესდება.)

დანართი III

ომის შემდგომი კაპიტალიზმის განვითარების სამი პერიოდი.

პირველი საერაშორისო ომის შემდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ განიცადა ისტორიული განვითარების მთელი რიგი ფაზისები, რომელიც გამოხატავს საერთო კაპიტალისტური სისტემის სხვა და სხვა ფაზისებს.

პირველი პერიოდი—კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გამწვავების პერიოდი, პროლეტარიატის უშუალო რევოლიუციონურ გამოსვლების პერიოდი, პერიოდი რომლის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენს 1921 წელი, დასრულდა ერთის მხრივ ს.ს.რ.კ. ინტერვენციის ძალებზე და შინაურ კონტრევოლიუციაზე გამარჯვებით, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებითა და კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებით, მეორეს მხრით—დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მთელი რიგი მძიმე დამარცხებებით და ბურჟუაზიის საერთო შეტევის დაწყებით. ამ პერიოდის დამაბოლავებელ რგოლს წარმოადგენს გერმანიის პროლეტარიატის დამარცხება 1923 წელს.

ეს დამარცხება არის მეორე პერიოდის გამოსავალი პუნქტი, კაპიტალისტური სისტემის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდი, კაპიტალისტური ეკონომიკის „აღდგენის“ პროცესი, კაპიტალის შეტევისა, განვითარება-გაფართოებისა და შემდგომი თავდაცვითი ომების პერიოდი, რომელიც სუსტდება პროლეტარული არმიის მძიმე დამარცხებით. მეორეს მხრით, ეს პერიოდი არის ს.ს.რ.კ. ჩქარი აღდგენითი პროცესისა და სოციალისტურ მშენებლობის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებების, აგრეთვე კომუნისტური პარტიების პროლეტარიატის ფართე მასებზე პოლიტიკური გავლენის პერიოდი.

დაბოლოს, მესამე პერიოდი არის კაპიტალისტური ეკონომიკის ომის წინა დროის დონიდან გამოსვლის პერიოდი, მასთან ერთად ს.ს,რ.კ. ეკონომიკისაც (ე. წ. „რეკონსტრუქტიული პერიოდის“ დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყისი, ახალი ტეხნიკის საფუძველზე მეურნეობის სოციალისტური ფორმის შემდგომი ზრდა).

კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის ეს პერიოდი არის ტეხნიკის ჩქარი ზრდის პერიოდი, კაპიტალისტების, ტრესტების გაძლიერებული ზრდის, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ტენდეციების და ამავე დროს მსოფლიო მეურნეობის წინააღმდეგობათა ძლიერი ზრდის პერიოდი, რომელიც მიექანება საერთო კაპიტალიზმის კრიზისის წინა გზით (შევიწროებული ბაზრები, ს.ს.რ.კ., კოლონიალური მოძრაობა, იმპერიალიზმის შინაგანი წინააღმდეგობათა ზრდა). ეს მესამე პერიოდი, რომელმაც ძლიერათ გაამწვავა მდგომარეობა საწარმოო ძალებისა და შევიწროებულ ბაზრებს შორის, აუცილებელს ხდის იმპერიალისტური ომების ახალ ზონას იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, ომს ს.ს.რ.კ. წინააღმდეგ, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალიზმისა და იმპერიალისტების ინტერვენციის წინააღმდეგ, გიგანტიურ კლასიურ ბრძოლებს.

ამწვავებს რა საერაშორისო წინააღმდეგობებს (წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და ს.ს.რ.კ. შორის, ჩრდილოეთ ჩინეთის ოკუპაცია, როგორც ჩინეთის გაყოფის და იმპერიალისტებს შორის ბრძოლის დასაწყისი და სხ.) აგრეთვე შინაურ წინააღმდეგობებს კაპიტალისტურ ქვეყნებში (მუშათა კლასის გამემარცხენება, კლასთა ბრძოლის გამწვავება), ანვითარებს რა კოლონიალურ მოძრაობას (ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე, სირია), ამ პერიოდს აუცილებლათ მივყევართ კაპიტალისტური სტაბილიზაციის წინააღმდეგობათა ზრდით კაპიტალიზმის სტაბილისაციის შემდგომ შერყევისა და კაპიტალიზმის კრიზისის საერთო გამწვავებისაკენ.
(კომინტერნის VI კონგრესის რეზოლიუცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ)

დანართი IV

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიური კრიზისი.

გაიხსენეთ საქმის ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში ორ წელაწად ნახევრის წინეთ. სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობის ზრდა კაპიტალიზმის თითქმის ყველა ქვეყნებში. ნედლეულისა და სურსათის წარმოების ზრდა თითქმის ყველა აგრარულ ქვეყნებში. შარავანდედი შეერთებული შტატების, როგორც სრულ სისხლოვანი კაპიტალიზმის ქვეყნის, გარშემო. გამარჯვების საზეიმო სიმღერები „აყვავების“ შესახებ. მუხლმოდრეკა დოლარის წინაშე. ახალი ტეხ-

ნიკის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის ქება-დიდება. კაპიტალიზმის „გაჯანსაღებისა“ და კაპიტალისტური სტაბილიზაციის შეურყეველი სიმტკიცის ხანის გამოცხადება.

„საყოველთაო“ განგაში საბჭოთა ქვეყნის „აუცილებელი დაღუპვის“ შესახებ, საბჭოთა კავშირის „აუცილებელი კრახის“ შესახებ. ასე იყო სურათი გუშინ. როგორია სურათი დღეს?

ახლა—ეკონომიური კრიზისია კაპიტალიზმის თითქმის ყველა სამრეწველო ქვეყნებში. „აყვავების“ ნაცვლად—მასების სიღატაკე და უმუშევრობის კოლოსალური ზრდა, სასოფლო მეურნეობის აღორძინების მაგიერ—გლეხობის მილიონიან მასების გაძვალტყავება. ირღვევა ილიუზიები კაპიტალიზმის ძლევამოსილების შესახებ საერთოდ და ჩრდილო-ამერიკის კაპიტალიზმის ძლევამოსილების შესახებ კერძოთ. სულ უფრო და უფრო სუსტდება სიმღერები დოლარის და კაპიტალისტური რაციონალიზაციის საპატივცემოთ. უფრო და უფრო ძლიერდება პესიმისტური ღმუილი კაპიტალიზმის „შეცდომების“ შესახებ.

„საყოველთაო“ განგაშს საბჭოთა კავშირის „აუცილებელი დაღუპვის“ შესახებ კი ცვლის „საყოველთაო“ ბოროტი სისინი „ამ ქვეყნის“ დასჯის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ბედავს თავისი ეკონომიკის განვითარებას, როცა გარშემო კრიზისი მეფობს.

ასეთია სურათი ეხლა.

მოხდა სწორედ ისე, როგორც ამბობდენ ბოლშევიკები ორი სამი წლის წინ. ბოლშევიკები ამბობდენ, რომ ტეხნიკის ზრდამ კაპიტალისტურ ქვეყნებში, საწარმოო ძალებისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის ზრდამ, მუშებისა და გლეხების მილიონიან მასების შეზღუდულ საცხოვრებელ დონის პირობებში, აუცილებლათ უნდა გამოიწვიოს მკაცრი ეკონომიური კრიზისიო. ბურჟუაზიული პრესა იღიმებოდა ბოლშევიკების „ორიგინალური წინასწარმეტყველების“ გამო. მემარჯვენე უკლონისტები ემიჯვნებოდენ ბოლშევიკურ პროგნოზს.

მარქსისტულ ანალიზს ისინი ცვლიდენ ლიბერალური ლაყბობით „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ შესახებ. ხოლო რა დაგვანახვა სინამდვილემ? დაგვანახვა ის, რასაც ამბობდენ ბოლშევიკები.

ასეთია ფაქტები. გადავიდეთ იმ მასალების განხილვაზე, რომლებიც შეეხება ეკონომიურ კრიზისს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ა) კრიზისის შესწავლის დროს პირველ-ყოვლისა ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ახლანდელი ეკონომიური კრიზისი არის ჭარბი წარმოების კოიზისი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელს უფრო მეტის რაოდენობით არის დამზადებული, ვიდრე ბაზარს შეუძლია შთანთქას. ეს იმას ნიშნავს, რრმ მანუფაქტურა, სათბობი მასალა, საქარხნო ნაწარმოები, საკვები საგნები უფრო მეტია დამზადებული, ვიდრე მათი შეძენა შეუძლია ნაღდ ფულზე ძირითად მომხმარებლებს, ე. ი. ხალხის მასებს, რომელთა შემოსავალი დაბალ დონეზე რჩება. და ვინაიდან ხალხის მასების სყიდვითი უნარიანობა კაპიტალიზმის პირობებში რჩება მინიმალურად დაბალ დონეზე, „ზედმეტ“ საქონელს მანუფაქტურის, პურს და სხ. კაპიტალისტები სტოვებენ საწყობებში ან კიდევ ანადგურებენ, რომ შეინარჩუნონ მაღალი ფასები, წარმოებას ამცირებენ, მუშებს ითხოვენ და ხალხის მასები იძულებული არიან გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვენ იმის გამო, რომ დამზადებულია ძლიერ ბევრი საქონელი.

2) ახლანდელი კრიზისი ომის შემდეგ პირველი მსოფლიო ეკონომიური კრიზისია. იგი მსოფლიო კრიზისია არა მარტო იმ მნიშვნელობით, რომ ედება მსოფლიოს ყველა ან თითქმის ყველა სამრეწველო ქეეყნებს, როცა საფრანგეთმაც კი, რომელიც თავის ორგანიზმს სისტემატიურათ უშხაპუნებს გერმანიისაგან ‘ძიღებულ მილიარდ მარკებს სარეპერაციო გადასახადებისას, ვერ დააღწია თავი ერთგვარ დეპრესიას, რომელიც, ყველა ნიშნების მიხედვით, კრიზისად უნდა იქცეს. იგი მსოფიო კრიზისს წარმოადგენს აგრეთვე იმ მნიშვნელობით, რომ სამრეწველო კრიზისი დროის მიხედვით შეხვდა სასოფლო-სამეურნეო—კრიზისს, რომელიც გავრცელდა ყველა სახის ნედლეულის და სურსათის წარმოებაზე მსოფლიოს ძირითად აგრარულ ქვეყნებში.

3) ახლანდელი მსოფლიო კრიზისი, მისი საყოველთაო ხასიათის მიუხედავათ, არა თანაბრათ იშლება; იგი ამა თუ იმ ქავეყანაში სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ძალით ვითარდება. სამრეწველო კრიზისი პირველყოვლისა დაიწყო პოლონეთში, რუმინეთსა და ბალკანეთში. იგი იქ ვითარდებოდა მოელი წარსული წლის განმავლობაში. დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კრიზისის აშკარა ნიშნები უკვე 1928 წლის დამლევს იყო კანადაში, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, ბრაზილიასა და ავსტრალიაში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მრეწველობა ზეაღმავალ გზით მიდიოდა, 1929 წ. ნახევა-

---

*) ამხ. სტალინის ეს მოსაზრებები მთლიანად დადასტურდბ. 1930 წლის ბოლოსთვის საფრანგეთში დაიწყო კრიზისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რში ჩრ.—ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოება თითქმის სარეკორდო დონეს აღწევს. მხოლოთ 1929 წლის მეორე ნახევრიდან იწყება გარდატეხა და შემდეგ იგი იშლება სამრეწველო წარმოების შუეჩერებელ კრიზისად, რომელმაც ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები 1927 წლის დონემდე მიიყვანა. ამის შემდეგ ვითარდება სამრეწველო კრიზისი კანადასა და იაპონიაში. შემდეგ იწყება გაკოტრება და კრიზისი ჩინეთსა და კოლონიალურ ქვეყნებში, სადაც კრიზისს ართულებს ფასების დაცემა ვერცხლზე, სადაც კრიზისი და ჭარბი წარმოება უკავშირდება გაღატაკებას გლეხური მეურნეობისას, რომელიც ფეოდალების ექსპლოატაციამ და აუტანელმა გადასახადებმა სრულ გაძვალტყავებამდე მიიყვანა, რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, იქ კრიზისი ძალაში შესვლას იწყებს მხოლოთ მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ამასთანავე ყველგან, ერთნაირის ძალით არა; საფრანგეთი კი ამ პერიოდშიც ჯერ კიდევ განაგრძობს სამრეწველო ზრდის ნიშნების ჩვენებას.

ბ) ახლა, როცა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი ანვითარებს თავის გამანადგურებელ მოქმედებას, უფსკრულში ჩეხავს წვრილ და საშუალო კაპიტალისტების მთელ ფენებს, აღატაკებს მუშათა არისტოკრატიას და ფერმერების მთელ ჯგუფებს, შიმშილობას უქადის მუშების მილიონიან მასებს,—ყველანი კითხულობენ: სად არის კრიზისის მიზეზი, სად არის მისი საფუძველი, როგორ ვებრძოლოთ მას, როგორ მოვსპოთ იგი? იგონებენ კრიზისის ათასგვარ „თეორიებს“ იმუშავებენ კრიზისის „შებრძოლების“ „თავიდან აცილების“ „ლიკვიდაციის“ მთელ პროექტებს. ბურჟუაზიული ოპოზიციები აბრალებენ ბურჟუაზიულ მთავრობებს, რომლებმაც თურმე „არ მიიღეს ყველა ზომები“ კრიზისის თავიდან ასაცილებლად. „დემოკრატები“ ამტყუნებენ „რესპუბლიკანელებს“, ხოლო „რესპუბლიკანელები“ “დემოკრატებს“, ყველა ერთად კი ჰუვერის და მისი „ფედერალური სარეზერვო სისტემის“ ჯგუფს, რომალმაც ვერ შესძლო „ლაგამი ამოედო“ კრიზისისათვის.

არიან ისეთი ბრძენებიც, რომლებიც მსოფლიო ეეონომიური კრიზისის მიზეზს „ბოლშევიკების ხრიკებში“ ხედავენ. მე მხედველობაში მყავს ცნობილი „მრეწველი„ რეხბერგი, რომელიც, სიმართლე რომ ვსთქვათ, ნაკლებათ გავს მრეწველს და უფრო გვაგონებს მრეწველს ლიტერატორთა შორის და „ლიტერატორს“ მრეწველთა შორის. რა თქმა უნდა, ყველა ამ თეორიებს და პროექტებს საერთო არაფერი აქვთ მეცნიერებასთან. უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები სრულიად გაკოტრებული აღმოჩნდენ კრიზისის ახსნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში. უფრო მეტიც, მათ ცხოვრების გაგების ის მინიმუმიც არ ალმოაჩნდათ, რომელიც ყოველთვის არ შეიძლება წაერთვათ მათ წინაპრებს. ეს ვაჟბატონები ივიწყებენ, რომ ეკონომიური კრიზისები წარმოადგენენ კაპიტალიზმის აუცილებელ შედეგს.

ეს ვაჟბატონები ივიწყებენ, რომ კრიზისები კაპიტალიზმის ბატონობის დაბადებასთან ერთად წარმოიშვენ. ასეულზე მეტი წლების მანძილზე ხდება პერიოდული ეკონომიური კრიზისები, რომლებიც მეორდებიან ყოველ 12, 10, 8 და ნაკლებ წლების განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში ყველა ჯურისა და ფერის ბურჟუაზიული მთავრობები, ყველა ხარისხისა და ნიჭის ბურჟუაზიული მოღვაწეები, ყვლანი უკლებლივ, ცდილობდენ ესინჯათ თავიანთი ძალა კრიზისების „თავიდან აცილების“ და „მოსპობის“ საქმეში, მაგრამ ყველა მათგანი მარცხდებოდა. მარცხდებოდენ იმიტომ, რომ არ შეიძლება ეკონომიური კრიზისების თავიდან აცილება ან მოსპობა კაპიტალიზმის ჩარჩოებში დარჩენით. რა არის აქ გასაკვირი, თუ ახლანდელი ბურჟუაზიული მოღვაწეებიც მარცხდებიან? რა არის აქ გასაკვირი, თუ ბურჟუაზიულ მთავრობათა ღონისძიებანი სინამდვილეში იწვევენ არა კრიზისის შენელებას, არა მშრომელთა მილიონ მასების მდგომარეობის შემსუბუქებას, არამედ ახალ გაკოტრებათ, უმუშევრობის ახალ ტალღას, ნაკლებათ ძლიერი კაპიტალისტურ გაერთიანებათა ჩაყლაპვას უფრო ძლიერ კაპიტალისტურ გაერთიანებათა მიერ?

ჭარბი წაროებით გამოწვეული ეკონომიური კრიზისების საფუძველი და მათი მიზეზი თვით კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში ძევს. კრიზისის საფუძველს წარმოადგენს ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და ნაწარმოების შედეგების მითვისების კაპიტალისტურ ფორმის შორის კაპიტ. ამ ძირითადი წინაალმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენს ის წინააღმდგობა, რომელიც არსებობს კაპიტალიზმის საწარმოო შესაძლებლობათა უდიდეს, კაპიტალისტურ მოგების მაქსიმუმის მისაღებად განზრახულ ზრდასა და მშრომელთა მილიონიანი მასების მხრით გადახდის-უნარმქონე მოთხოვნილების შედარებით შემცირებას შორის, ვინაიდან კაპიტალისტები მუდამ ცდილობენ უკიდურესი მინიმუმის ფარგლებში დასტოვონ მშრომელთა საცხოვრებელი დონე. კონკურეციაში გამარჯვებისა და მეტი მოგების მიზნით, კაპიტალისტები იძულებული არიან განავითარონ ტეხნიკა, ჩაატარონ რაციონალიზაცია. გააძლიერონ მუშათა ექსპლოატაცია და უკიდურეს ზომამდე გაადიდონ თავისი საწარმოოთა საწარმოო შესაძლებლობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ერთმანეთს არ ჩამორჩენ, ყველა კაპიტალისტები იძულებული არიან ასე თუ ისე დაადგენ საწარმოო შესაძლებლობათა ამ გაცოფებული განვითარებული გზას. მაგრამ საშინაო და საგარეო ბაზარი, მუშათა და გლეხთა იმ მილიონიანი მასების მსყიდვითი უნარი, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ძირითად გამსაღებლებს წარმოადგენენ, დაბალ დონეზე რჩება. აქედან იბადება ჭარბი წარმოების კრიზისები. აქედანაა ის ცნობილი შედეგები, რომლებიც მეორდებიან ცოტათ თუ ბევრად პერიოდიულად, რომლის გამოც საქონელი გაუსაღებელი რჩება, წარმოება მცირდება, უმუშევრობა მატულობს, სამუშაო ხელფასი კლებულობს და მით კიდევ უფრო მწვავდება წარმოების დონესა და გადახდის უნარმქონე მოთხოვნილების დონეს შორის არსებული წინააღმდეგობა. ჭარბი წარმოებით გამოწვეული კრიზისი არის ამ წინააღმდეგობის გამომჟღავნება უაღრესად დამარღვეველ ფორმებში. კაპიტალიზმს რომ შეეძლოს შეუგუოს წარმოება არა მოგების მაქსიმუმის მიღებას, არამედ ხალხის მასების მატერიალურ მდგომარეობის სისტემატიურ გაუმჯობესებას, მას რომ შეეძლოს მოახმაროს მოგება არა პარაზიტული კლასების ჟინის დაკმაყოლილებას, არა ექსპლოატაციის მეთოდების გაუმჯობესებას, არა კაპიტალის გატანას, არამედ მუშათა და გლეხთა მასების მატერიალური მდგომარეობის სისტემატიურ გაუმჯობესებას, მაშინ კრიზისები აღარ იქნებოდა. მაგრამ მაშინ კაპიტალიზმიც არ იქნებოდა კაპიტალიზმი. კრიზისები რომ მოსპო უნდა მოისპოს კაპიტალიზმი. ასეთია ჭარბი წარმოებით გამოწვეული ეკონომიური კრიზისების საფუძველი საზოგადოთ.

მაგრამ ახლანდელი კრიზისის დახასიათების დროს საქმე ამით როდი თავდება. ახლანდელი კრიზისი არ არის ძველი კრიზისების უბრალო განმეორება. იგი ხდება და ვითარდება ერთგვარ ახალ პირობებში, რომლებიც უნდა ავხსნათ, რომ მივიღოთ კრიზისის სრული სურათი. მას ასრულებს და აღრმავებს მთელი რიგი განსაკუთრებული გარემოებანი, რომელთა გარკვევის გარეშე შეუძლებელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ახლანდელ ეკონომიურ კრიზისზე. რა განსაკუთრებული გარემოებანია ეს?

ეს განსაკუთრებული გარემოებანი გამოიხატებიან შემდეგ დამახასიათებელ ფაქტებში:

1) კრიზისი ყველაზე ძლიერად შეეხო კაპიტალიზმის მთავარ ქვეყანას, მის ციხე-სიმაგრეს — ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლის ხელშიაც დაგროვილია მსოფლიოს ყველა ქვეყნების მთელი ნაწარმოების და მოხმარების ნახევარზე არა ნაკლები. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგებია, რომ ამ გარემოებას არ შეუძლია არ გამოიწვიოს კრიზისის გავლენის სფეროს ბუმბერაზული გაფართოება, კრიზისის გამწვავება, მსოფლო კაპიტალიზმისათვის გაუთვალისწინებელი სიძნელეების დაგროვება.

2) ეკონომიური კრიზისის გაშლის მსვლელობაში მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო კრიზისი კი არ შეხვდა მხოლოდ, არამედ გადაეხლართა სასოფლო-სამეურნეო კრიზის აგრაულ ქვეყნებში, გაართულა სიძნელეები და განსაზღვრა სამეურნეო აქტივობის საერთო დაცემის აუცილებლობა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სამრეწველო კრიზისი გააძლიერებს სასოფლო-სამეურნეო კრიზის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კრიზისი გაახანგრძლივებს სამრეწველო კრიზისს, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს ეკონომიური კრიზისის გაღრმავება მთლიანად.

3) ახლანდელი კაპიტალიზმი, წინააღმდეგ ძველი კაპიტალიზმისა, წარმოადგენს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს; ეს კი გულისხმობს კაპიტალისტურ გაერთიანებათა ბრძოლის აუცილებლობის საქონლის მაღალი, მონოპოლური ფასების შენარჩუნებისათვის, მიუხედავათ ჭარბი წარმოებისა. ცხადია, ეს გარემოება განსაკუთრებით მტანჯველი და გამღატაკებელია ხალხის მასებისათვის, რომლებიც საქონლის ძირითადი მომხმარებელნი არიან, — და მას არ შეუძლია არ გამოიწვიოს კრიზისის გახანგრძლივება, არ შეიძლება არ შეაფერხოს მისი შენელება.

4) ახლანფელი ეკონომიური კრიზისი იშლება იმ საერთო კრიზისის საფუძველზე, რომელიც იმპერიალისტურ ომის პერიოდში წარმოიშვა, რომელიც ნიადაგს აცლის კაპიტალიზმს და რომელმაც გაადვილა ეკონომიური კრიზისის დადგომა.

რას ნიშნავს ეს?

ეს პირველ ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ იმპერიალისტურმა ომმა და მისმა შედეგებმა გააძლიერეს კაპიტალიზმის ლპობა, ნიადაგი გამოაცალეს მის წონასწორობას, ჩვენ ეხლა ვცხოვრობთ ომებისა და რევოლიუციის ეპოქაში, კაპიტალიზმი უკვე აღარ წარმოადგენს მსოფლო მეურნეობის ერთად-ერთ და ყოვლის შემცველ სისტემას, მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემის გვერდით არსებობს სოციალისტური სისტემა, რომელიც იზრდება და უპირდაპირდება კაპიტალისტურ სისტემას და რომელიც თვით თავის არსებობის ფაქტით ააშკარავებს კაპიტალიზმის სიდამპლეს, საფუძველს აცლის მას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, ეს ნიშნავს იმას, რომ იმპერიალისტურმა ომმა და საბჭოთა კავშირში რევოლიუციის გამარჯვებამ შეარყია იმპერიალიზმის საფუძელები კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში იმპერიალიზმის გავლენია შერყეულია. მას უკვე აღარ შეუძლია თავისებურათ იბატონოს ამ ქვეყნებში.

შემდეგ ეს ნიშნავს იმას, რომ ომის დროს და შემდეგ კოლონიალურ და დამოკიდებულ-ქვეყნებში გაჩნდა და გაიზარდა თავისი საკუთარი ახალგაზრდა კაპიტალიზმი, რომელიც წარმატებით უწევს მეტოქეობას ბაზარზე ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამწვავებს და ართულებს გამსაღებელი ბაზრისათვის ბრძოლას. დასასრულ, ეს იმას ნიშნავს, რომ ომმა კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობას დაუტოვა მძიმე მემკვიდრეობა საწარმოოთა ქრონიკული დაუტვირთაობის და უმუშევართა მილიონიანი არმიის სახით, რომელიც სათადარიგო უმუშევართა არმიიდან მუდმივ უმუშევართა არმიად გადაიქცა, რაც კაპიტალიზმს აუარებელ დაბრკოლებებს უქმნიდა ჯერ კიდევ ახლანდელ კრიზისამდე და რამაც კიდევ უფრო უნდა გაართულოს საქმე კრიზისის დროს.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებიც ართულებენ და ამწვავებენ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს. უნდა ითქვას, რომ ახლანდელი ეკონომიური კრიზისი ყველაზე უფრო სერიოზულ და ღრმა კრიზისს წარმოადგენს აქამდე არსებულ ყველა მსოფლიო კრიზისთა შორის.

(ც. კ. პოლიტანგარიში ს, კ. პ (ბ) XVI
ყრილობაზე. ამხ. სტალინის მოხსენება)

დანაართი V

სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში

ზევით ჩვენ ავღნიშნავდით, რომ კაპიტალიზმის პირობებში თავისუფალი კონკურეციის დროს კოოპერაციას შეეძლო განვითარება და ქონებოდა განსაზღვრული სამეურნეო წარმატება. ეს წარმატებები უზრუნველყოფილი იყვენ კოოპერაციის, როგორც მსხვილი მეურნეობის უპირატესობით-კერძო მოვაჭრეთან. მაგრამ მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდმა განსაზღრულ ჩარჩოში ჩააყენა სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარება. მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში გაბატონებულმა ფინანსიურმა კაპიტალმა, რომელმაც უზრუნველყო თავისი კანტროლი და ხელმძღვანელობა ინდუსტრიის მნიშვნოლოვან დარგებზე, დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი გავლენის გავრცელება ვაჭრობაზედაც. განადგურებულ წვრილ მოვაჭრეების შესაცვლელად მოდის გიგანტიური კონცერნები (გაერთიანებანი) ფართედ გაშლილი მრავალდუქნიანი სისტემით, რომლის ზურგს უკან სდგას საბანკო კაპიტალი. საკმარისია ავღნიშნოთ, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში 1927/28 წ. მთელი საცალო ბრუნვის 17% გატარდა ჯგუფურ სავაჭროებში. ამ ფირმათა შორის არის ისეთი გიგანტები, როგორც „ატლანტიკი" (17,500 საბაკალეო სავაჭრო, 75 მილიონიანი დოლარის ბრუნვა) და სხვ. იგივე ხდება გერმანიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. კონცერები უკვე ავიწროებენ მსხვილ სავაჭრო ფირმებს და კოოპერატივებსაც; მაგ. გერმანიაში 1929 წელში ტიტცის კონცერნმა ჩაყლაპა მოხელეების მსხვილი კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელმაც უწინ შეისყიდა კესტერის ფირმის სავაჭრო საწარმონი, მოხელეების კოოპერატივების საქონლით მომმარაგებელი. („საერთაშორისო კოოპერაცია" 1927 წ. № 9).

ინგლისის სამომხმარებლო კოოპერაციაში ამ ბოლო წლებში აღნიშნულია გარკვეული შეჩერება. ბრუნვა 1923 წ. ეცემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში წევრთა რიცხვმა იმატა. ნაწილობრივ ეს აიხსნება მსხვილი კაპიტალისტ. ვაჭრობის კონკურენცით. საცალო ვაჭრობის კონკურენციას და მსხვილი ტრესტების ზრდას მივყევართ იქამდის, რომ ინგლისის კოოპერაციის წილი ქვეყნის საცალო ვაჭრობაში უკეთეს შემთხვევაში რჩება სტაბილიური და ქანაობს 4-დან (ტექსტილი და მზა ტანსაცმელი) 15%-დე (პურის ცხობა) ამ კონკურეციაში ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად არის საქონლის ნისიათ გაშვება. გერმანიაში ეს სისტემა გატარებულია 32 ქალაქში, ამასთან ერთი წლის განმავლობაში კონცერნების ბრუნვა გაიზარდა 30% მეტად.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ის მდგომარეობა, რომ უკანასკნელ წლებში შენელდა სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვა საკვებ პროდუქტებშიაც; მაგ. გერმანიაში გემო-კვების უნივერსალურმა სავაჭროებმა 1925-28 წ. წ. გაადიდეს თავისი ბრუნვა 94,8%-ით, სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვა კი გაიზარდა 69, 7%. („საერთაშორისო კოოპერაცია" № 5-6, 1930 წ. გვ. 31)

აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის მდგომარეობა, რომ კოოპერაციას ამ საგნების ვაჭრობაში აქვს დიდი გამოცდილება, მისი ქსელი უფრო გაშლილია და ახლოსაა მომხმარებელთან, მაგრამ მიუხედავათ ამ უპირატესობისა, მისი ბრუნვის ზრდა ჩამოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდება მსხვილი კერძო საცალო ვაჭრობის ზრდას, ამრიგათ, სამომხმარებლო კოოპერაციის მოღვაწეობის არე ვიწროვდება. ეს ხდება იმიტომ, რომ „ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მსხვილი კაპიტალის მონოპოლია წარმოებასა და ვაჭრობაში აუცილებლათ ახრჩობს და ანადგურებს კოოპერაციას“ (XIII პარტყრილობა „კოოპერაციის შესახებ).

ამრიგად, კაპიტალისტურ პირობებში კაპიტალისტური ეკონომიკის კანონები განსაზღრულ მიჯნას უდებენ სამომხმარებლო კოოპერაცის განვითარებას, რომლის გადაბიჯება რევოლიუციონური ბრძოლისა და მუშათა კლასის გამარჯვების გარეშე მას არ შეუძლია. ამას გრძნობენ აგრეთვე ზოგიერთი ბურჟუაზიული კოოპერატორები.

აბერდინის კონგრესზე თავის სიტყვაში ჯემს დინმა განაცხადა: „ამ დრომდი ჩვენ ვიკვეხნიდით ჩვენი მრავალმილ. ბრუნვით, ჩვენი შემსყიდველი საზოგ. 40 ფაბრიკით და ყოველ წლიურად 12 მილიონი გირვანქა სტერლინგის მოგებით. მაგრამ ეხლა ჩვენს თვალწინ იზრდება კაპიტალის გიგანტიური ორგანიმაციები, ისინი წარმატებით გვიწევენ კონკურეციას, მეტ ძალას იპოვებენ პარლამენტში, ბაზარზე და ტრანსპორტზე და ხელში იგდებენ ქვეყნის ყველა ნედლეულის წყაროებს (ნახშირის, მადნების, პურისა დასხვა პროდუქტების). კაპიტალი ჩვენზე კარნახობს პირველ მოთხოვნილების პროდუქტების ფასს. ჩეენ უნდა ჩაუფიქრდეთ მთელი ქვეყნის მშრომელთა კოოპერატიული გაერთიანების ძირითად ამოცანებს“ ასე „ფიქრდებიან“ ზოგიერთი ბურჟუაზიული კოოპერატორები, რომლებიც ვერ ნახულობენ ჩიხიდან გამოსავალს. შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში ლაპარაკი სამომხმარებლო კოოპერაციისათვის მშვიდობიანი გზით კაპიტალისტურ წყობილებაზე გამარჯვების შესახებ? კაპიტალისტურ პირობებში სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ლაპარაკი კოოპერაციის ასეთ როლის შესახებ მუშათა კლასისათვის არის მავნე ილიუზია. კოოპერაციას არ ძალუძს გაანთავისუფლოს მუშათა კლასი კაპიტალისტურ ექსპლოატაციისაგან. ასეთია სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მონოპოლისტური კაპიტალიზმი განსაკუთრებით ძლიერად თავის გავლენას ავრცელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზედ. თუ თავისუფალი კონკურეცის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ძლიერ ოყო დამოკიდებული კაპიტალისაგან, სამაგიეროდ მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით გაიზარდა. დაუმორჩილა რა თავის გავლენას მრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველობის უდიდესი დარგები, საფინანსო კაპიტალი ცდილობს და იმორჩილოს სოფლის მეურნეობაც, რადგანაც სამრეწველო პროდუქციის ფასების მონოპოლიის დროს სოფლის მეურნეობა ხდება კაპიტალისტური ზედმეტი მოგების წყაროდ. მაგრამ ამ მიზნისათვის ნაკლებად სასარგებლოა ჩამორჩენილი, ნაკლებად ნაყოფიერი სოფლის მეურნეობა. წვრილს, მცირე საქონლიანს და მცირე შემოსავლიან გლეხურ მეურნეობას არ ძალუძს მრეწველობის ძვირი პროდუქციის შეძენა. სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ახალი ტეხნიკა მიუწვდომელია წვრილი მეურნეობისათვის. საშველად მოდის საბანკო კაპიტალი. ის ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციას და მათი საშვალებით უმორჩილებს სოფლის მეურნეობას თავის გავლენას. საბანკო კაპიტალი დაინტერესებულია მრეწველობის შეუფერხებლად ნედლეულითა და სურსათით მომარაგებაში (ეს აძლევს მას საშვალებას შეინარჩუნოს ხელფასის განსაზღრული დონე), ამიტომ ის იძულებულია წააქეზოს გლეხობა კოოპერატიული ორგანიზაციების შექმნისაკენ, თავის ხელში ინარჩუნებს რა ხელმძღვანელობას.

ამრიგათ, თანამედროვე ხანაში კაპიტალისტური ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რომლითაც ფინანსიური კაპიტალი იმორჩილებს სოფლის მეურნეობას.

ამერიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (პულები) თითქმის მთლიანათ იმყოფება ფინანსიური კაპიტალის გავლენის ქვეშ. ყოველწლიურათ პულების ცენტრალური ორგანიზაციები ბანკებს უხდიან დიდ თანხებს სესხისათვის. 19[illegible]7 წელში კანადის 3 პულის ცენტალურმა კანტორამ ბანკს გადაუხადა 2 მილიონამდე დოლარი პროცენტი. (სლუცკინა „იმპერიალიზმის განვითარების კანონზომიერებანი“ გვ. 92)

არა ბრძოლა კაპიტალისტთან, არამედ ფინანსიური კაპიტალისადმი დამორჩილება, აი ასეთია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამას გარდა კაპიტალისტები ეხმარებიან რა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, თავის პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავენ: შექმნას „ძლიერი“ გლეხობა და მით გაზარდოს კაპიტალიზმის დამცველთა კადრი.

ვინ შედიან წევრებათ კაპიტალისტური ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში? ვის ემსახურებიან ისინი? ამის ნათელ სურათს ჩვენ ვნახულობთ გერმანიის სასოფლო სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრთა სოციალურ შემადგენლობაში. გერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრები კუთვნილი მიწების რაოდენობის მიხედვით ნაწილდებიან შემდეგ ჯგუფებად:

2 გაზე ნაკლები 12,7%
2-5 გამდე 22,3%
5-20 „—„ 41,5%
20-100-„- 1,3%

წევრთა უმთავრესი მასა მოდიოდა შეძლებულ და კულაკურ მასებზე. ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე გერმანიის ერთ-ერთ პროვინციაში, პომერანიაში, 305 საკრედიტო ამხანაგობის შემადგენლობაში იყო 109 მემამულე—საბჭოს წარმომადგენლები და 50 მემამულე გამგეობის წარმომადგენლები: საბჭოს 51 და გამგეობის 46 წარმომადგენელი ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას. ასეთი მდგომარეობაა აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც.

დანართი VI

სოციალ-ფაშისტებისა და სოციალ-რეფორმისტების კოოპერატიულ „ბელადების“ კოოპერატიული პოლიტიკა.

წვილ ბურჟუაზიული კოოპერატორები, რომლებიც ამ ბოლო დროს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტების მეშვეობით უკავშირდებიან მმართველ კლასებს, აშკარათ უგუებენ კოოპერატიული ორგანიზაციების მოღვაწეობას ბურჟუაზიული ბატონობის განმტკიცების საქმეს. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საფინანსო კაპიტალი იყენებს კოოპერაციას, მაგრამ უნდა დაუმატოთ, რომ კოოპერაცია გამყიდველი „ბელადების“ ხელმძღვანელობით ეხმარება კაპიტალს. კოოპერატიული კაპიტალის დიდი ნაწილი იბანდება რკინის გზების ობლიგაციებში, სხვა და სხვა კოლონიალურ აქციებში, მუნიციპალურ სესხებში და სხ. ინგლისში საბითუმო შემსყიდველი საზოგადოების კოოპერატიული ბანკის კაპიტალის $^3/_4$ ნაწილი იხარჯება ობლიგაციების, რკინის გზების აქციების და მუნიციპალურ სესხების შეძენაზე. საფრანაეთის კოოპერაციის „ბელადები“ არამც თუ აწარმოებენ ბრძოლას მსხვილი საბანკო კაპიტალის ფართე მოხმარების საკვებ პროდუქტებით ვაჭრობაში შეჭრის წინააღმდეგ, არამედ ცდილობენ კოოპარაციის მუშაობა „შეათანხმონ“ მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა საქმიანობასთან. ასე მაგ; პარიზის სამომხმარებლო კოოპერატივი „იუნიონ დე კოოპერატერ“, ფეხსაცმელებისა და შეკერილ ტანსაცმელის ფაბრიკანტებთან შეთანხმების თანახმად, ურჩევს თავის წევრებს, შეიძინონ ეს საქონელი ფაბრიკანტების სავაჭრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოებიდან და ანგარიშების წარდგენის მიხედვით უხდის კოოპერატი-
ვიდან პრემიას ნავაჭრზე. მსგავსი შეთანხმებანი არის აგრეთვე სხვა
კაპიტალისტურ საწარმოებთან. ამგვარათ, კოოპერაცია ხდება ფა-
ბრიკანტების უბრალო კომისიონერად. ასე მაგალითად, გერმანიის
საბითუმო შემსყიდველი საზოგადოება, რომელიც სამომხმარებლო
კოოპერატივებს აერთიანებს, მონაწილეობს შეიერის პურის კონცერ-
ნსა და შვედეთ-ამერიკის ასანთის სინდიკატში. კოოპერაციის ბელ-
ადები სხედან სინდიკატის გამგეობაში და არიან ამავე დროს სხვა
კაპიტალისტური ორგანიზაციის წევრები. ინგლისის კოოპერაცია
აშენებს თავის პლანტაციებს კოლონიებში და უძღვება მას ჩვეულე-
ბრივი კაპიტალისტური წესებით. ბელგიის კოოპერაციის ბელადმა
ასსელემ მთელი რიგი ხელშეკრულებებისა დასდო კერძო კაპიტალ-
თან საწარმოო წამოწყებების ექსპლოატაციის შესახებ, რომლებიც
მასიურ გასაღებისათვის მუშაობენ. ეკონომიური თანამშრომლობისა
და მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებენ კოოპერატი-
ული „ბელადები“ აქცევს დასავლეთ ევროპის კოოპერაციას კაპიტა-
ლისტური წყობილების უბრალო დამატებად.

დასავლეთ ევროპის წვრილბურჟუაზიული ბელადების გამყიდვ-
ელი პოლიტიკა ნათლად გამოაშკარავდა საერთაშორისო კოოპერატ-
იული ალიანსის XIII კონგრესზე (1930 წ. აგვისტო) ეს კონგრესი
ხდებოდა მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მაქსიმალურად გავრცე-
ლების პერიოდში, მშრომელთა საარსებო დონეზე მწარმოებელთა
სასტიკი შეტევის პერიოდში, როცა კაპიტალიზმის ქვეყნებში უმუშ-
ევართა არმიაში ათეული მილიონები ითვლებოდა. კოოპერაციის რე-
ფორმისტული ბელადები ცდილობდენ ,რომ კონგრესზე ამ საკითხ-
ების შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულიყო, ამას კიდევაც მიაღწევდენ
ისინი, რომ კონგრესზე არ ყოფილიყვენ საბჭოთა კოოპერაციის
წარმომადგენლები.

საერთაშორისო კოპერატიული ალიანსის ვენის კონგრესმა ნათ-
ლად გვიჩვენა ორი მსოფლმხედველობის ბრძოლა კოოპერატიული
ინტერნაციონალის მიერ გაერთიანებულ მილიონიანი მშრომელი
მასებისათვის; ერთის მხრით რეფორმიზმი, როოლიც კოოპერაციას
უმორჩილებს ტრესტების კაპიტალს, მეორეს მხრით—ს.ს.რ.კ. პრო-
ლეტარიატის წარმომადგენლები, რომლებიც იყვენ ამ კონგრესზე
მთელი ქვეყნის კლასიურათ შეგნებულ კოოპერატიული მასების წარ-
მომადგენლებად. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამომხმარებო კოო-
პერაციის განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის ისტორ-
იულ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ კოოპერაცია კაპიტალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობილების პირობებში არამც თუ ითვისებს უკანასკნელის ბუნებ-
ნაკლულოვანებებს, არამედ სოციალ—რეფორმისტებისა და სოციალ
ფაშისტების მატყუარულ რწმუნების მიუხედავათ „კაპიტალისტური
წყობილების მშვიდობიანი გარდაქმნის“ მაგიერ, ეზრდება კაპიტალ-
ისტურ სისტემას. აი რატომ განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრ-
ობა ბურჟუაზია დასავლეთ ევროპის სამომხმარებლო და სასოფლო-
სამეურნეო კოოპერაციას.

მიუხედავათ იმისა, რომ კოოპერაციის გამყიდველი ბელადები
ყოველ მხრივ ცდილობენ წარმართონ მშრომელები კლასიური მშვიდ-
ობიანობის გზაზე, კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ უკანასკნელ წლებში
სამომხმარებლო კოოპერაციის წევრებში ხდება ერთგვარი გამო-
ფხიზლება.

მშრომელი მასები, რომლებიც კოოპერატივში შედიან, ნელნლა,
მაგრამ მაინც იგებდენ რეფორმიზმისა და სოცილ—ფაშიზმის ჭეშმა-
რიტ არსებას. მუშათა მასების ამ გამოფხიზლებაში დიდი როლს
თამაშობს კომუნისტური პარტიისა და პროფ. ოპოზიციის სწორი
კოოპერატიული პოლიტიკა. ამის შედეგად, საფრანგეთში აგრეთვე
გერმანიაშიც—კოოპერატიული სოციალ—გამყიდველობის ამ ციტა-
დელში, ამ ჟამად არსებობენ უდიდესი რევოლიუციონური კოოპერ-
ატივები. კომპარტიები თავისი მუშაობას კოოპერაციაში ამყარებენ
კომინტერნის XI პლენუმნს მიერ დასახულ ამოცანებზე. ეს ამოცან-
ბი მდგომარეობენ: „მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობაში,
როგორც აუცილებელი პირობა ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის
და მუშათა კლასის მომზადებაში პროლეტარიატის დიქტატურის გა-
დამწყვეტი ბრძოლისათვის“ (კომინტერნის XI პლენუმის თეზისებ-
დან). მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობისათვის ბრძოლაში
დიდი მნიშვნელობა აქვს სამომხმარებლო კოოპერაციას. იმყოფება
რა სოციალ—რეფორმისტების ხელმძღვანელობის ქვეშ, სამომხმარე-
ბლო კოოპერაცია მათ ხელში ხდება მშრომელთა ფართე მასებზე და
წვრილ ბურჟუაზიაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან იარაღად. აი რას
ამბობს ამის შესახებ კომინტერნის პროგრამა: „კოოპერატივიზმი,
რომელსაც სამომხმარებლო კოოპერაციის მასიური ორგანიზაციათა
სახით ყავს პროპაგანდისტების ფართე აპარატი ფართე მასებზე ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველდღიური, სისტემატიური ზემოქმედებისათვის, აწარმოებს ბრძოლას მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობასთან, ხელს უშლის მის მიზნების განხორციელებას და წარმოადგენს ეხლა ერთ—ერთ უაქტივეს ფაქტორს რეფორმისტულ კოოპერაციის ბანაკში“.

ამიტომ კოოპერაცია და რევოლიუციონური პროფკავშირები სდგანან შემდეგ ამოცანების წინშე—გამოაშკარაონ სოციალ—ფაშისტებისა და სოციალ—რეფორმისტების გამყიდველობა, გაანთავისუფლოს კოოპერატიული მასები სოციალ—გამყიდველების გავლენსაგან და ჩააბას ისინი კლასიურ ბრძოლის რევოლიუციონურ ფრონტში.

კომპარტია სამომხმარებლო კოოპერატივებს კაპიტალიზმის პირობებში უნდა აფასებდეს არა როგორც მარტო სამეურნეო ორგანიზაციებს, არამედ როგორც მასიურ ორგანიზაციებს, რომელშიც მშრომელთა მასები არიან ჩაბმული და რომლი მასებიც ჩაბმული უნდა იქნას რევოლიუციონურ ბრძოლაში. კომპარტიისა და რევოლიუციონურ პროფკ. წარმატებამ კოოპერიტიული მასების დაპყრობისა და რევოლიუციონური კოოპერაციას შექმნაში დააფრთხო კოოპერატიული ბიუროკრატია. ამ ბოლო დროს გამწვავებული კრიზისის პირობებში რეფორმისტულ კოოპერატიული კავშირები თავს ესხმნიან რევოლიუციონურ კოოპერატივებს; მაგ. ჰალლეს, მერზენბურგისა და შვანცერბურგის (უდიდესი მუშათა ცენტრები გერმანიაში) რევოლიუციონური კოოპერატივები გამორიცხული იქნა კავშირიდან მხოლოდ იმიტომ, რომ გაფიცულ მუშებს გაუწიენ დახმარება. ეს კიდევ ცოტაა, სოციალ ფაშისტ კოოპერატორებმა მთელი რიგი ზომები მიიღეს ამ კოოპერატივების გასანადგურებლად—უარი უთხრეს კრედიტებზე და მოსთხოვეს დავალიანების საჩქაროდ დაფარვა. ასეთია სოციალ—რეფორმისტების კოოპერატიული საქმეები. მათი გამყიდველობა და მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება თუ დაუპირდაპირებთ მათ პოლიტიკას კაპიტალის მიმართ—მათ საქმეებს, მაშინ, როცა ისინი ანგრევენ რევოლიუციონურ კოოპერატივების სამეურნეო ძალიერებას. ამ დროს ყოველმხრივ უწყობენ ხელს კაპიტალიზმს. ზევით ჩვენ უკვე ავღნიშნავდით, რომ კოოპერაციის თავისუფალი თანხები, რომელიც მშრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომელ მასებს ეკუთვნის, თავსდება კაპიტ. ბანკში, იძენენ კაპიტალისტურ საწარმოოთა აქციებს და სხ., მაგრამ არის პირდაპირი დახმარების შემთხვევებიც, როცა კოოპერაციის თანხები ხმარდება კაპიტალისტურ საწარმოს; მაგ. კონცერნ ტრენერის „გადასვლის“ დროს ცენტრალურმა კოოპერატიულმა კასამ გადახარჯა 7 მილიონი მარკა (კონცერნის მთელი ქონება შეფასებული იყო 20 მილიონი მარკად, კასამ კი გადაიხადა 27 მილიონი მარკა)

(სლუცკინა: „იმპერიალიზმის განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი“

გვ. 94.). მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელმაც ძირიანათ შეარყია კაპიტალიზმი, ძლიერ ახდენს გავლენას კოოპერატიულ ორგანიზაციებზე, და აქ, იმის ნაცვლად, რომ შეაკავშირონ რევოლიუციონური ძალები კაპიტალისტები ცდის წინააღმდეგ—მშრომელებს გადააკისრონ კრიზისის მთელი სიმძიმე—კოოპერატიული ბიუროკრატები ცდილობენ გადაარჩინონ თავისი მდგომარეობა იმავე ხერხებით, რომელსაც ფართეთ იყენებენ კაპიტალისტური საწარმონი. კაპიტალისტური რაციონალიზაცია კოოპერალივებში და კოოპერატიულ საწარმოებში პირობების გაუარესების ანგარიშზე, ხელფასის შემცირება და სხ.—ასეთი ის ზომები, რომლითაც კოოპერატიული ბიუროკრატები ებრძვიან კრიზისის გავლენას კოოპერაციაზე.

მუშათა მასების გარევოლიუციონერებისა, რევოლიუციონურ პროფკავშირებისა და კომპარტიის გავლენის ზდის შიში აიძულებს კოოპერ. „ბელადებს“ თავისი მდგობარეობის განსამტკიცებლად მიმართონ მთელ რიგ ორგანიზაციულ ზომები; ახდენენ ცალკე კოოპერატივების შეერთებას და ამ გამსხვილებით ხელოვნურად აცილებენ მასებს კოოპერატიულ ორგანიზაციებს. კოოპერატივის წევრებს საშუალება ერთმევა განახორციელონ კონტროლი კოოპერატიულ ბიუროკრატიის მუშაობაზე. ასე პრაქტიკულათ ანხორციელებენ სოციალ-ფაშისტები და სოციალ—რეფორმისტები თავის თეორიას „კოოპერაციის სოციალიზმში შეზრდის შესახებ“. კაპიტალიზმთან ბრძოლა რჩება ცალიერ სიტყვათ, საქმით კი კოოპერაციის ინტერესებს სისტემატიურად უმორჩილებენ გაბატონებულ კაპიტალისტური კლასების ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი დასკვნა შეგვიძლია ჩვენ ყველა აქედან გამოვიტანოთ? პირველყოვლისა — ცხოვრებამ მთლიანათ უარყო „კოოპერაციის მშვიდობიანი გამარჯვების“ შესაძლებლობა. მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პირობებში კაპიტალისტური ეკონომიკის კანონები განსაზღვრულ მიჯნას უდებენ კოოპერაციის განვითარებას და ამ შემთხვევაში სწორი პოლიტიკა უკარნახებს ერთ გზას—გადააქციონ კოოპერატიული ორგანიზაციები კლასიურ ბრძოლაში დამხმარე ორგანოებად პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის საქმეში. კოოპერატიული „ბელადების“ გამყიდველი კოლიტიკა კი — მიმართული თავისი მდგომარეობის შენარჩუნებისაკენ, მიემართება სხვა გზით—შეათანხმოს კოოპერაცია ბურჟუაზიული ბატონობის განმტკიცებას.

აუცილებელია ამ პოლიტიკის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოება, მშრომელი მასების სოციალ-გამყიდველების გავლენისაგან განთავისუფლება. კომპარტია, რევოლიუციონური პროფკავშირები და კოოპერატიული ოპოზიცია უნდა ჩაუდგენ სათავეში მშრომელთა გაზრდილ უკმაყოფილებას და ჩააბან ისინი რევოლიუციონურ კლასთა ბრძოლის მთლიან ფრონტში.